



ილორი



www ilori.ge

№ 56 (117) 2 მარტი 2010 წლის 50 თებრი



აფხაზური პანტატა

ჩემი მორღუ აფხაზეთში
იზრდებოდა თარბებთან,
ბადეს შლიდა... და მშვილდ-ისრით ტყეში
ნადირს არბევდა.
ხვინას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად,
ბეჭზე თრბი შეუფრინეს „ურაიდა რაიდა“.
გადიფრინეს ყრმობის წლებმა და აფხაზურ
მეგრულით
ცხრა ლამაზმა ცხენოსანმა გამოტობა ენგური


რა პატარა ხარ! (აღბათ ცრემლს თუ აღემატები!)
და რამდენ, რამდენ სიმწარეს და სინარულს იტყვ.
მანდ, აფხაზეთში დაგვიგია კაკანათები,
აქ კი საფარში ვუჯექით ჩიტებს.
ძიძიშვილობენ წინაპარი სახლიკაცები
და მხარზე ეჯდათ ერთი ჭინკა და ანგელისი.
ქორი წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,
ჰაუ, ჰაუო, გვიყვირია სამეგრელოში.
ჩვენ მონადირეს აჯაფრებდნენ თქვენი ჩხიკვები,
ბევრჯერ ეგ თხებიც ჩვენს ქანჩახებს რქებით ეკიდა
და მორღუ აქეთ თუ ოდესმე დააცხიკვებდა
- ხვინას სიცოცხლე! - ეძახოდნენ აფხაზეთიდან.
ერთ ცას, ერთ ჰაენს, როგორც უნდა, როდი ვაფასებთ,
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს.
ხვინა რომ მოკლეს ბრანდენბურგთან ორმოცდახუთში,
თურმე აბრსკილის ლექსს მდეროდა, ლექსს სათაყვანის...
შავი ქაღალდი მამამძუძემ მოფშვნიტა მუჭით
ძიძის კვიღმა შეძრა მთელი სამურზაყანო.

თ აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელი,
ამორძალი ხარ, მკურდმოჭრილი უსაქართველოდ.
მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და გაყვურდები,
ლოცვით, მადლობით, აღსარებით მითრთის ტუჩები.
შენს კალთას ასდის თაფლის სუნი, ირმის რძის სუნი,
ყრმობის ზღაპარო, მართლა ზღაპრულ სვე-ბედს გისურვებ.

ოდიშში ვარ, ქორწილში ვარ... ცხენს ვაჭყენებ... ჰაიდა...
„ოდოიას“ ვადმოუნტა „ურაიდა რაიდა“...
ჩანს ანტიკურ არფასავით აივნების რიკული,
ზედ სიმებად ლერწები და სნივები ცისკრული.
წაიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო-და...
მოწმეი ხარ, შენ საქართველო - ერთ ფეხბუნდნიერთ და...
ჩენს ოდებზე კოლხთა ღერბი, ღერბი სიმინდ-ჯიქურის
და აფხაზურ ცხენის ნალი ავგართზად მიერული.

შოთა ნიშნიანიძე

სარგაი კრემლიონი-
ლავრენტი ბერია
— ამოხა საუკუნის
საუკეთესო მენაჯარი



ბაზეთი "ილორი" უკვება რუსიკას "საუკეთესო საუზნებური კლუბები"



“აუსტრია”,
ვენა,
აუსტრია,

12

ცავატანემ

“Национални картограф”-

ჯან

3


ჟურნალისტური გამოძიება

სააკაშვილის

ხელისუფლების მორიბი

აკანტიურა!

6-8



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დელოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.



საქართველოს
საბარეო პოლიტიკა
და დიპლომატია
1918-1921 წლებში

7

თემურ ქორიძე

ლაზიკა, ლაზები — უდიდესი ქართული ტკივილი

(გაგრძელებით წერილების ციკლის ბეჭდვას)

გამოვიდა წიგნი **“ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა”** (თბილისი, 2002 წელი), სადაც ყურადღება გაკეთდა მასზე, რომელიც ეგრისის სამეფოს როლზე საქართველოს ისტორიაში და მისი მკვიდრების — მეგრელების (მათ შორის აფხაზების, ლაზ-ჭანების) დამსახურებაზე ერთ-ერთი ძირითადი როლი შეასრულა აფხაზეთის მოვლენებში...

რამდენად სწორი ვიყავი, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. ჩემს ნარკვევებსა და წიგნებში გარკვეული ყურადღება დაეთმო ლაზიკისა და ლაზების როლს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ, რადგანაც ლაზების ჭეშმარიტი ქართველობა არასდროს დამდგარა ეჭვის ქვეშ, ძირითადად ყურადღება გაუთმეველეთ აფხაზეთსა და აფხაზეთზე, ვინაიდან აფხაზეთის რაობაზე და უძველესი აფხაზების ვინაობაზე გაუგებრობების შედეგად, სრულიად მცდარი აზრია შექმნილი, რამაც ერთ-ერთი ძირითადი როლი შეასრულა აფხაზეთის მოვლენებში...

...მოუხედავად ამისა, ყოველთვის მქონდა უკმაყოფილო გრძობა, რომ ქართველმა ხალხმა ნაკლებად იცის ლაზიკის ისტორია და ლაზების დამსახურება ერთ-ერთი ძირითადი როლი შეასრულა აფხაზეთის მოვლენებში, თუ ლაზებმა არ იცოდნენ თავიანთი ობიექტური ისტორია და არასწორი შეხედულება ჰქონდათ თავიანთ ვინაობაზე, რის გამოც თავს უფლებას ვაძლევ, მივმართო ლაზ მკვებს და გაეუზიარო ჩემი მოსაზრებები ლაზიკისა და ლაზების როლზე საქართველოს ისტორიაში, მით უფრო, რომ აფხაზეთის მოვლენებმა დამარწმუნეს, რამდენად დამარწმუნებელი როლს თამაშობს ქართველი ხალხის მიერ ამა თუ იმ ქართული კუთხის ისტორიის უცოდინარობა და მისი მკვიდრებზე არასწორი წარმოდგენა.

ახალი წელთაღრიცხვის ეპოქის ეგრისის სამეფო, აშკარად, დაკნინებული შეხვდა, იგი აღმოჩნდა რომაელების ბატონობის ქვეშ, უფრო ზუსტად, I საუკუნეში ეგრისი შედიოდა რომაელების მიერ აღდგენილ პონტოს სამეფოში.

მას შემდეგ, რაც რომა პონტოს სამეფო გააუქმა (I საუკუნის ბოლოს), მართალია, ეგრისის სამეფო ისევ რომის გავლენის სფეროში დარჩა, მაგრამ, ამის შემდეგ, ეგრისის სამეფო, გარკვეულწილად, დამოუკიდებელი ჩანს. ეტყობა, რომამა მასთან თანამშრომლობის პოლიტიკა უფრო აირჩია, რაზედაც მეტყველებს ის გარემოება, რომ I საუკუნიდან, კოლხეთის (ეგრისის) მეფეები ისევ ჩანან.

ეგრისის სამეფო რომ II-III საუკუნეებში ანგარიშგასაწვეი ძალა იყო, ამაზე მეტყველებს შემდეგი მოვლენა — III საუკუნეში იბერიის (ქართლის) სამეფოს თავს დაესხნენ ალან-ოსები. იბერიის (ქართლის) მეფემ დახმარება სთხოვა ეგრისის მეფეს, რომელმაც გაუზავნა ჯარი და, ერთობლივად, მტერი დაამარცხეს.

ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში წარმოჩნდნენ ახალი აღმინისტრაციული ერთეულები ლაზეთისა და მარგვეთის საერისთავოების სახით, რაც, ბუნებრივია, ეგრისის სამეფოში განვითარებული ისტორიული მოვლენებით იყო განპირობებული.

როგორც აღვნიშნე, ადგილების დასახელებები, ტოპონიმები, ლაზეთი, ჭანეთი, აფხაზეთი და მარგვეთი ადრინდელ ეპოქაშიც იარსებებდნენ, მაგრამ არ ჩანდნენ, რადგანაც ადმინისტრაციულ ერთეულებს არ წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, ადრე ამ ტერიტორიებზე იცხოვრობდნენ ეგრისის სამეფოში დასახლებული სხვადასხვა წვრილ-წვრილი ტომებიდან ზოგიერთები, რომლებიც ასევე მეგრული ტერიტორიული ჯგუფები იყვნენ, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ფაქტობრივად, არ იხსენიებოდნენ, ისინი უკვე მოიხრებოდნენ ლაზების, აფხაზებისა და მარგველების ქვეშ. ამას ეგრისის სამეფოს სინამდვილეში არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია, არც ეთნიკური და არც სარწმუნოებრივი,

მხოლოდ სახელმწიფოებრივი წყობის გარკვეული რეორგანიზაცია მოხდა — თუ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სინამდვილეში, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში, 10-15 სხვადასხვა მეგრული ტომი იხსენიებოდა, I-II საუკუნეებიდან, ისტორიაში, ფაქტობრივად, მეგრელებთან ერთად, უკვე ჩანან ახალი მეგრული ტერიტორიული ჯგუფები: ლაზები, მარგველები და სხვები.

მართალია, პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში, ეგრისის სინამდვილეში, ხანდახან განდებოდნენ ჰენიოები, კორაქები, სანიგები, მისიმიანები, სანები თუ სხვები, მაგრამ ისინი უკვე მნიშვნელოვან როლს ვერ თამაშობენ ეგრისის სამეფოს სინამდვილეში. თანაც, ეტყობა, გარკვეულწილად აღდგენილი იქნებოდა დაკავშირებული ამ ტომთა ბელადების ახლადწარმოჩენილი ერისთავების გავლენის სფეროში მოქცევა. მით უმეტეს, რომ, იმ ეპოქაში, ალბათ, ნებისმიერი კუთხე ქვეყნად მიანდათ, ხოლო მკვიდრებს თავი ერად მოჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ეგრისის სამეფო რომის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, II-III და IV საუკუნეებში ის ანგარიშგასაწვე სამეფოს წარმოადგენდა და რომის მოკავშირედ ითვლებოდა.

ჩანს, ამ ეპოქაში, ეგრისის სამეფოში შედარებით სიმშვიდე იყო, იგი ტერიტორიულად (მეტ-ნაკლებად) ძველ საზღვრებში აღსდგა და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები არ განვითარებულა, ვინაიდან ამ ეპოქის უცხოელი სწავლულები თითქმის არაფერს წერენ ეგრისის სამეფოზე.

თუ II საუკუნეში ჩანან ეგრისის მეფეები — მალახა და ბაკური, შემდგომში, თითქმის V საუკუნის II ნახევრამდე, ეგრისის მეფეების სახელები უცნობია.

ნაწილი მეცნიერებისა ამ ეპოქის ეგრისის სამეფოს ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებს და ბაკურსაც ლაზ მეფედ მიიჩნევა, რაც სწორი არ უნდა იყოს, ვინაიდან, სანამ ეგრისის სამეფო რომის იმპერიაში შედიოდა, რომელები მას ისევ კოლხეთის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მის მკვიდრებს — კოლხებად.

ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ლაზური დინასტიის დაწინაურება ემთხვევა რომის იმპერიის დაშლის ეპოქას (V საუკუნე) და მის აღმოსავლეთ ნაწილში ბიზანტიის იმპერიის ჩამოყალიბებას, ცენტრით კონსტანტინეპოლი.

სწორედ ამ ეპოქიდან ჩანს, რეალურად, ეგრისის მეფედ ლაზური დინასტიის წარმომადგენელი გუბაზ I (455-510 წ.წ.).

წარმოების უქონლობის გამო, დღეს ძნელი დასადგენია, თუ რა მოვლენებთან იყო ეს დაკავშირებული, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ სიტუაციებთან გვეჭონდეს საქმე: სრულიად კანონზომიერია, რომ ეგრისის საერისთავოების — ლაზიკის, აფხაზეთისა და მარგვეთის ერისთავებად ყოფილიყვნენ ეგრისის სამეფოს საგვარეულოს წევრები და, სავარაუდოა, ლაზიკის ერისთავს შემკვიდრებით რეგულირდა ეგრისის მეფობა, ან შეიძლება, ეგრისის სამეფოს პონტოს შემადგენლობაში ყოფნას, ხოლო შემდგომ რომის იმპერიის გავლენაში მოქცევას მოჰყოლოდა მისი დაკნინება, ამ დროს კი ლაზიკის საერისთავო გაძლიერებულიყო და მის მმართველ ერისთავს ეგრისის მეფობისათვის მიეწვია.

ყოველ შემთხვევაში, ეგრისის სათავეში ლაზური დინასტიის მოსვლა რაიმე ბრძოლებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მით უმეტეს, ეს ისტორიიდანაც არ ჩანს.

ეტყობა, V საუკუნის ბოლოსაც კი ბიზანტიელები ეგრისის სამეფოს ჯერ კიდევ არ მოიხსენიებდნენ ლაზიკის სამეფოდ და მის მკვიდრებს — ეგრებს (მეგრელებს) ლაზებად, რაზედაც შეიძლება მიგვანიშნებდეს შემდეგი გარემოება: V-VI საუკუნეების მიჯნაზე, ბიზანტიის იმპერიის სამსახურში მოიხსენიება ეგრისელი მხედართმთავარი ფარსმან კოლხი, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბიზანტია-ირანის ომში (502-505 წ.წ.).

აშკარაა, რომ ფარსმან კოლხი იყო ლაზი დიდებული, ვინაიდან მის შვილზე თოფანე ეპითა აღმწერელი წერს — **“ფარსმანი იყო ზუნას მამა, წარმოშობით ლაზი”**.

ფარსმანის კოლხად მოხსენიება მეტყველებს იმაზე, რომ, მის ეპოქაში ეგრისის სამეფოს ისევ კოლხეთის სამეფო ერქვა.

როდღაც ეწოდა ეგრისის სამეფოს ლაზიკის სამეფო, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტია, რომ ლაზური დინასტიის ეგრისის სათავეში მოსვლის შემდგომ, ვფიქრობ, გუბაზ I ეპოქიდან, მას ბიზანტიელები ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მის მკვიდრებს — ლაზებად.

ახეთი მოვლენა შემდეგშიც განმეორდა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ეგრისის სამეფოს სათავეში მოვიდა აფხაზური დინასტია (VIII საუკ.). მას ეწოდა **“აფხაზთა სამეფო”** და მის მკვიდრებს **“აფხაზები”**, მათ შორის ლაზ-ჭანებსაც. უფრო მეტი, ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV ს.ს.), როდესაც ქვეყნის სათავეში სამხრეთ ქართველთა სამეფოს მმართველი ბაგრატიონების დინასტია მოვიდა, ერთიან ქვეყანას **“საქართველო”**, და ქართული კუთხეების მკვიდრებს, მათ შორის ლაზებსაც და ჭანებსაც **“ქართველები”** ეწოდათ.

სწორედ ამ დროიდან დამკვიდრდა ზოგადქართული ცნებები **“ქართველი”** და **“საქართველო”**.

მართლაც, თუ I-II საუკუნეებში ბერძენი და რომაელი სწავლულები პლინიუსი, ფლავიუს არიანე, მემპრონ პერალდიკელი და სხვები გვამცნობენ ლაზიკის საერისთავოს და ლაზების წარმოქმნას ეგრისის სამეფოს სინამდვილეში, V საუკუნისა და შემდეგ დროინდელი ბიზანტიელი მწერლები, უკვე, მოვლი დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს **“ლაზიკის სამეფოდ”** და მის მკვიდრ მოსახლეობას კოლხებს (მეგრელებს) **“ლაზებად”** მოიხსენიებდნენ და ასე გაგრძელდა თითქმის 1000 წელი, ბიზანტიის იმპერიის არსებობის ეპოქაში.

აღსანიშნავია ერთი გარემოება — დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს კოლხეთის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, ლაზიკის თუ ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ და მის მკვიდრებს კოლხებად, ლაზებად თუ აფხაზებად, ამას არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია, არც ეთნიკური, არც თვისობრივი, არც სარწმუნოებრივი, მით უმეტეს, ქართველი და სომეხი მემკვიდრეები მას ყოველთვის მხოლოდ ეგრისის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მის მკვიდრებს — ეგრებად.

იყვნენ თუ არა ლაზური დინასტიის წარმომადგენლები III-IV საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს სათავეში, უცნობია, ვინაიდან ამ ეპოქის ეგრისზე წარმოები თითქმის არ არსებობს, მაგრამ ამ საუკუნეებში ეგრისის სამეფომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მან ისარგებლა რომსა და სპარსეთს შორის დადებული ზავით, რომელიც ნასიბინის ზავის სახელითაც ცნობილი და, IV საუკუნის პირველ ნახევარში, ეგრისის სამეფო, ფაქტობრივად გამოვიდა რომის მეურვეობისგან, გარკვეული მიწები დაიბრუნა და თითქმის ძველ საზღვრებში აღსდგა. მხოლოდ IV საუკუნის ბოლოს შემდგომ რომსა, ეგრისის სამეფო თავის გავლენის სფეროში დაებრუნებინა.

ამის შემდეგ, რომის იმპერია იშლება, მის აღმოსავლეთ ნაწილში ყალიბდება ბიზანტიის იმპერია, რომლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდება ეგრისის სამეფო. შესაბამისად, V საუკუნიდან, ბიზანტიელი მოღვაწეები გავლენით ცნობებს ეგრისის სამეფოს სინამდვილეზე.

V საუკუნის უცნობი ბიზანტიელი მწერალი წერს: **“კოლხებს შემდეგ დაერქვათ ლაზები”**.

“სახელი “კოლხები”, როგორც სხვა მრავალი ტომისა, ამაჟამად “ლაზთა” სახელით შეიცვალა”, — წერდა პროკოფი კესარიელი (IV საუკ.).

ბიზანტიელი ისტორიკოსი ავათია მირანელი (VI საუკ.) შემდეგს გვამცნობს: **“რიონისპირეთში მოსახლე ძლიერი და მა-**

მაცი ლაზები ისე დაწინაურდნენ, რომ ბევრ სხვა ძლიერ ტომებსაც ბატონობენ...” **“მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული ტომი, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხეით, ისე ქვეშემრდომთა სიმრავლით, მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიციქვით... ისინი არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კნინობითი სახე მიუციან...”** **“ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორე ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი გაცნობა ფაზისის, კაკასის და მის გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას”**.

ამდენად, მართალია ლაზიკის საერისთავო და ლაზები მხოლოდ I საუკუნიდან ჩანან ეგრისის სამეფოს სინამდვილეში, მაგრამ ლაზიკის, როგორც სამეფოს ისტორია, რეალურად იწყება V საუკუნიდან. ვფიქრობ, სწორედ აქედან იწოდებოდა ეგრისის სამეფო **“ლაზიკის სამეფოდ”**, უფრო ზუსტად, **“ეგრის-ლაზიკის”** სამეფოდ და მკვიდრი მოსახლეები კოლხები (ეგრები-მეგრელები) — ლაზებად.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ, VIII საუკუნეში, ეგრისის სამეფოს სათავეში მოვიდა აფხაზური დინასტია და ის იწოდებოდა აფხაზთა, უფრო სწორად ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ, ბიზანტიურ წყაროებში მას ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, მანამ, სანამ ბიზანტიის იმპერია არ დაიშალა (XV საუკუნე).


მართალია, ეგრისის სამეფო რომის გავლენის სფეროში იმყოფებოდა და, მისი დაშლის შემდგომ, რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებული ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ეტყობა, ეს ასე არ მოხდა, რაზეც მეტყველებს 456 წელს ბიზანტიელების შემოსევა, რაც ბიზანტიელთა განადგურებით დამთავრდა. ამ დროს ეგრის-ლაზეთის მეფე იყო გუბაზ I (455-51- წ.წ.). ეს გამარჯვება დროებით აღმოჩნდა. როგორც მემკვიდრე გვამცნობს, შემდგომში ლაზები მათივე თვისტომის მეშვეობით მწარედ დამარცხებულან.

ყოველ შემთხვევაში, V-VIII საუკუნეებში, ლაზიკის სამეფო ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, მაგრამ ამას უფრო ურთიერთთანამშრომლობის ხასიათი ჰქონდა; მით უმეტეს, რომ ორივე ერთმანეთს სახელმწიფო იყო, რაც მათ კავშირს ერთგვარად ამართლებდა.

იმ ეპოქაში გამოკვეთილად ერთმანეთთან დაპირისპირებული ჩანან სპარსეთი და ბიზანტიის იმპერია.

მართალია, ეგრის-ლაზეთის სამეფო ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში ითვლებოდა, მაგრამ სპარსეთი ყოველნაირად ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას. 528 წელს, სპარსეთში შაჰი კავადი დიდძალი მხედრობით შემოესია ეგრისს, ბიზანტიელები ვერ მოეშველნენ ლაზებს და ეგრის-ლაზეთის მეფე წათე I მართლმართლ შეებრძოლა სპარსელებს. ეტყობა, ამ ბრძოლაში დამარცხდა და თვითონაც დაიღუპა, რადგანაც შემდგომში აღარ იხსენიება.

ანზორ შონია, აკადემიკოსი



ცავატანემ “Национални картограф”-ჯან

სათაურში მოყვანილი რუსული სიტყვა **“Национални”** ორთოგრაფიულად შეცდომით დაწერილი არ გვევლინება – იგი სომხური პრონონსიათა გაქვეყნებული სწორედ ამ სიტყვებით შეაქვდა, ხარბი მტაცებლის თვალში საქართველოს მიწებზე ნებისმიერი სომეხი საქართველოს პრეზიდენტს მიხედვით სააკაშვილს, ამას წინათ მისი სატელევიზიო გამოსვლების გამო, სადაც ქართველ ნაციონალთა **“ხელადი”** ოქროპირებით გაიღებოდა და უამრავი ოქროს სიტყვები უძღვნა საქართველოს მსოფლიო მნიშვნელობის ტურისტულ ცენტრად მალე გადაქცევის გრანდიოზულ პროგრამას.

წინამდებარე თემის გახსნამდე მცირეოდენი პრეამბულა შევთავაზებთ გახეთ **“ილორის”** ერთგულ მკითხველს.

საქართველოს ნაციონალურმა უმელოდ დაქარგეს თავისი ნაციონალური იდეების ხელშეწყობა და მრავალი უკეთური საქმის (როგორც უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტის იანუკოვიჩის პრესამასხაზე განაცხადა, საქართველოსათვის იარაღის მიყიდვის ფაქტებს მალე დაახუსტებენ უკრაინის საგამომიებო ორგანოები) ხელშეწყობი უკრაინული სომხური ღობი, რაც შეიძლება ძვირად დაუჯდეს უკრაინაში არჩევნების ტომიშენის სასარგებლოდ შემოსაბრუნებლად გავზავნილ გვი თარგამაქს, რომელიც თავისი, არჩევნების **„ლატატურად“** გაყვალბებაში მაგრად დახვლოვებულ, მრავალათასიან არმიასთან ერთად სამარცხვინოდ გამოაბუნძულეს კივიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკის სომხურმა ღობმა საბოლოოდ დაქარგა უკრაინა, რადგან ვერ მოახერხეს სომეხი ეროვნების ოქლა ტომიშენის გაყვანა უკრაინის პეზიდენტად, რაც იმის მაუწყებელია, რომ ახლა ამ დამარცხებით გამწარებული ამერიკელი სომეხი და სხვა ჯურის მასონები მთელი ძალებით დაწვებიან ჯერ კიდევ მათ კლანტებში მოქცეულ საქართველოს და ეცდებიან მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დასასრულამდე წარათვან საქართველოს ის ტერიტორიები, რომელთა წარომეცაც მათ დიდი ხანია აქვთ დაგეგმილი...

ნატოში შესვლის ილუზორულ იდეას გამოდევნებული სააკაშვილი და მისი გარემოცვა ყოველნაირად ცდილობს დაავიწყოს ქართველ ერს ის, რაც მან შევარდნაპე-სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაქარგა და საქართველოს გამოდიანების ერთადერთ გზას მხოლოდ ჩვენს ნატოში შეთრევაში ხედავს. დღეს ხომ სააკაშვილის ხელისუფლებას სხვა სახრუნავი აღარაფერი აქვთ, გარდა ნატოში გაწვერიანებისა. ჩვენი მწარე რეალობა კი სულ სხვა რამეზე მიგვანიშნებს.

ჯერ კიდევ სამიოდ წლის წინათ ნატოს ყოვილმა გენერალურმა მდივანმა თბილისშიც და ბრიუსელშიც შემდეგი ფრაზა გაავლერა: **“თუ ნატოში მივიღებთ, მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე”**. და ეს ითქვა მაშინ, როცა არც რუსეთში და არც ადგილებზე არავის აწუხებდა აზრი საქართველოს ამ ორი რეგიონის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების თაობაზე (მოდი და, ამის შემდეგ ნუ შეგაწუხებს იმის ეჭვი, რომ საქართველოს ტერიტორიული რღვევა სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში დაიგეგმა და არა რუსეთში). სამი წლის წინათ ნათქვამი ეს ფრაზა უადრესად აქტუალურია სწორედ დღეს, რადგან რუსეთმა უკვე გააფორმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან 45-წლიანი ხელშეკრულება იქ სამხედრო ბაზების განთავსების თაობაზე, თანაც, რუსეთის ხელისუფლება დიად მიგვანიშნებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია კონფედერაციის ჩარჩოებში, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შემოგვიერთდებიან როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები – იქ განლაგებული რუსული სამხედრო ბაზებით. როგორ ფიქრობთ, ნატო თავის წევრად მიიღებს იმ ქვეყანას, სადაც

რუსული სამხედრო ბაზები იქნება განთავსებული. განა სწორედ ამის გათვლით არ გააკეთა ნატოს ყოვილმა გენერალურმა მდივანმა აღნიშნული ავად-სახსენებელი განცხადება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დღევანდელი სავალალო სიტუაცია ადრე იყო დაგეგმილი და მისი ერთ-ერთი მონაწილე სწორედ სააკაშვილის ხელისუფლება გახლდათ?

თავად განსაზღვრეთ, რომელი სჯობია – ნატოს წევრობის დათმობა თუ საქართველოს ძირძველი ტერიტორიების უიმედოდ დაკარგვა, ამერიკაში სახიფელად სირბილი თუ რუსებთან დიალოგზე გასვლა?

ამრიგად, ნატოსაკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯი კიდევ უფრო დაგვაშორებს აფხაზეთსა და სამხანალოს, რაც საქართველოს მოსომხო ხელისუფლების ძირითად მიზანს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ აქვთ მათ დახმული უპირველესი ამოცანად და ქართველი ერის გასაბრწყინებლად ნატოში გაწვერიანება, სადაც, უკვე ნათელია, რომ არასდროს არავინ არ მიგვიღებს...

გაიხსენეთ სააკაშვილის გამოსვლა ანაკლიაში, სადაც მან განაცხადა, რომ საქართველოში შეიქმნება უნიკალური ტურისტული მარშრუტი **“ზღვა და თხილამურები”**.

– ჩვენ ანაკლიიდან გავიყვანთ გზას მესტიისაკენ, რათა ტურისტს შეეძლოს რამდენიმე საათში მოხედეს ზაფხულიდან ზამთარში. მესტიაში შესანიშნავი სათხილამურო ტრასებია. ამრიგად, ჩვენ დაგვრჩა მესტიის მშრალი თოვლი, რუსებს კი რჩებათ სველი თოვლი! – დაახლოებით ამ შინაარსის განცხადება გააკეთა მაშინ სააკაშვილმა.

ხომ არ ნიშნავს ეს სიტყვები იმას, რომ ქართველები საბოლოოდ უნდა შევურიდეთ საქართველოს საზღვარის გაკლებას ანაკლია-მესტიის ტრასაზე. ხოლო, სიტყვები **“რუსებს დარჩათ სველი თოვლი”** თავისთავად იმის მინიშნებაა, რომ აფხაზეთი რუსებს გადაეუღოცოთ, და ეს მაშინ, როცა თავად რუსეთის ხელისუფლება მოგვიწოდებს მოლაპარაკებების წარმოებაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. განა სწორედ სომხების ისტორიულ ინტერესებში არ შედის აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება, რადგან იქიდან ქართველების გამოძევების შემდეგ აფხაზეთი შეივსო არა რუსი მოსახლეობით, არამედ სწორედ სომხებით, რომელთაც იქ ქართველების დაბრუნების შემთხვევაში აფხაზეთის დატოვება მოუწევთ. აქედან გამომდინარე, უმჯველია, რომ საქართველოს ხელისუფლების ჯიუტი სწრაფვა ნატოსაკენ განპირობებულია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ხელის შეშლით და არა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებით.

ამ ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არაფერი კეთდება სახალხო დიპლომატიის გასაძლიერებლად, რაც ქართველ და აფხაზ ხალხს ერთმანეთზე წყენას დაავიწყებდა და ერთმანეთს დაახლოებდა. პირიქით, საქართველოს სახელისუფლებო პირობის ტელევიზიები აჩვენებენ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს აფხაზეთის ომის თემაზე, რაც კიდევ უფრო უძლიერებს ჩვენს მრავალჭირგადატანილ ხალხებს ერთმანეთისადმი სიძულვილსა და უნდობლობას. არავის უხსენებია ის აფხაზი ქალბატონი, რომელიც ერთნაირი რღუნებით უვლის მის ქოში გათხრილ ორ საფლავს, რომელშიც ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი და დაღუპული აფხაზი შვილი და ქართველი ვაჟაკი ასვენია...

არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც სათავეს იღებს მეოცე საუკუნის ოციან წლებში, როცა თბილისის მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტს სომხები შეადგენდნენ. როგორც იცით, მაშინ ამიერკავკასიაში მოქმედებდა სამხარეთი კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა ბე-

რია. ერთ მშვენიერ დღეს მასთან შევიდა სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ხანჯიანი და შესთავაზა – საქართველოს დედაქალაქად ქუთაისი გამოვაცხადოთ, ამიერკავკასიის დედაქალაქად კი თბილისიო, რაც თბილისის მთლად გასომხების წინაპირობა იქნებოდა. თუ როგორ დამთავრდა ხანჯიანის ეს **“ინიციატივა”**, ჩვენ მკითხველმა კარგად იცის და ჩვენ მას აღარ გავიმეორებთ, მაგრამ, ხომ არ არის ხანჯიანის იდეის გაგრძელება საქართველოს ხელისუფლების განცხადება იმის თაობაზე, რომ პარლამენტი ქუთაისში უნდა გადავიტანოთ, სახელისუფლებო სტრუქტურები კი საქართველოს სხვა ქალაქებშიო.

და თუ თბილისი ქართველი მოსახლეობისაგან იმავე ტემპით დაიცვლება, როგორც ეს დღეს ხდება, მაშინ მართლაც არაფერი შეუძლია ხელს თბილისის სომხურ ქალაქად გამოცხადების ვერაგულ გეგმას...

ამ ეჭვს აძლიერებს ის გარემოება, რომ სომხებმა აფხაზეთი კი **“მოიფრეგეს”**, მაგრამ ამასობაში დაქარგეს თბილისი, სადაც აფხაზეთიდან ლტოლვილთა დიდმა ნაწილმა დაიღო ბინა. ახლა საჭიროა ამ ლტოლვილების გადარეკვა არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოდან, რომელთა ადგილებს წამსვე დაიკავენ ფულანო სომხები და არა ქართველები, რადგან შევარდნაძისა და სააკაშვილის ვერაგული გათვლების წყალობით ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გადარბდა და გამათხოვრდა. ლტოლვილები კი მხოლოდ გარე ვაჭრობითა და შემთხვევითი შემოსავლებით მოულოდენ კაპიკებს, რათა შიმშილში არ ამოძვრეთ სული. ქალაქ თბილისის მერიამ კი მიიღო დადგენილება გარე ვაჭრობის აღკვეთის თაობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ლტოლვილთა მასამ საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა ეძებოს თავის რჩენის საშუალება.

რაც მართალი, მართალია, შენდება თბილისი, მაგრამ შენდება იგი არა ქართველებისათვის, რადგან მოსახლეობა დღემდე არნახულ სოციალურ გასაჭირში იმყოფება. პენსიაზე მომტკბულ ყოველ კაპიკებს ფასების არნახული ზრდა მოჰყვება ხოლმე, რაც კიდევ უფრო ამცირებს მოსახლეობის ისედაც მწირ რეალურ შემოსავალს. მოსახლეობას სულს ხდის შეგნებულად გახვიადებული ფასები ბუნებრივი აირზე და ელექტროენერგიაზე, ადამაშობოთებელია ისიც, რომ ისედაც წყალწადებულ საქართველოში მოსახლეობას დრაკონული ტარიფი აქვს დაწესებული სასმელ წყალზე, ხელისუფლების მიერ მონოპოლიზირებული და ოჯახურ ბიზნესად ქცეული საწვავის ბიზნესი კი უკანასკნელ სასიცოცხლო ილაქს ართმევს ხალხსა და ქართულ კონომიკას. ყოველივე ამის ფონზე თავზედურ ცინიზმად ედერს ხელისუფლების მიერ გაკეთებული რიხიანი განცხადება იმის თაობაზე, რომ საწვავ-საცხებ მასალებს საქართველოში კერძო ბიზნესი განკარგავს და ჩვენ მათ საქმეებში ჩარევის იურიდიული უფლება არა გვაქვს. და ეს მაშინ, როცა ხელისუფლების მიერ ტერორიზებული არიან მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, როცა კვლავაც გრძელდება საქმიან ადამიანთა შოუდ ქცეული დაპატიმრებები, როცა მწარე სიმართლის თქმა ძვირად უჯდებათ საქართველოს მოქალაქეებსაც კი...

საქართველოს ხელისუფლების მთავარ საზრუნავს დღეს მხოლოდ თბილისის მერის არჩევნები წარმოადგენს. უკრაინაში ჩატარებულმა გაუყვალბებელმა არჩევნებმა შიშის ზარი მოჰკვარა ყველა დონის არჩევნების გამყალებელ საქართველოს მოხალადე ხელისუფლებას, რადგან თბილისის მერის არჩევნების წაგებით მათ პარპაშის დასასრულის დასაწყისი დაიგება. მაგრამ პოლიტიკური არენის დატოვება მათ ჯერ კიდევ ნაადრევად მიანჩიათ, რადგან, მიუხე-

დავად მათი დიდი მცდელობისა, საქართველო მაინც არ არის საბოლოოდ დანგრეული და ქართველებისაგან დაცლილი...

თავად განსაზღვრეთ, არის თუ არა ეს სომხური გეგმის ნაწილი, რაც საქართველოს ქართველებისაგან სრულად გაწმენდას და მისი სომხებით შევსებას წარმოადგენს?

სომხებმა, ჯობია, საკუთარ ქვეყანას მიხედონ, რადგან იქ უკვე შედის მსოფლიო ბანკი, რაც იმას ნიშნავს რომ იქ მყარად გაიდგამენ ფეხს სოროსი და სოროსის-ნაირი არამხადები, რასაც, როგორც წესი, მოჰყვება ქვეყნის სულკერი და მატერი-ალური განანაგება.

განა სწორედ სოროსმა და მის მიერ გამოკვებილმა უჯიშო ჰომოსექსუალებმა და ლესბოსელებმა არ მიიყვანეს საქართველო დაღუპვის პირამდე?

ანგარიშგასაწვეია ის ფრაზაც, რაც ნაციონალთა მთავარმა **“კარტოგრაფმა”** მიხილ სააკაშვილმა ბაკურიანში წარმოთქვა იმის თაობაზე, რომ თურმე სომხებს რუსი სამხედროები ჯავახეთზე არ გაუტარებიათ, რადგან ჯავახეთი ქართული ტერიტორიაა (ან იქნებ უთხრეს: სომხური ტერიტორიაა) და აქ მხოლოდ ჩვენს გვამებზე თუ გადავივლითო. იქნებ სჯობდა, რომ ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს ავადსახსენებელი **“ზაგრაშიანის ბატალიონის”** წევრებისათვის აფხაზეთის მოვლენების დროს შეეხსენებინათ ამგვარი შემართებით, რომ აფხაზეთი საქართველოს სულისა და ხორცია ნაწილია და ქართველებს ასეთი სასტიკი წამებით ნუ ხოცავთო!

მთავარი კარტოგრაფის მიერ გადამოფრეკული კიდევ ერთი **“მარგალიტი”** გახლდათ ის, რომ მთავარი და ლამაზი ბაკურიანია, აბა გუდაური მასთან რას მოვაო. და ეს განცხადება კეთდება მას შემდეგ, რაც კოკითმა განაცხადა, რომ თრუსოს ხეობა ოსების კუთვნილი ტერიტორიაა და იგი ჩვენ უნდა გადმოგვეცუ-

სო. ხომ არ არის მიხეილ სააკაშვილის მიერ ეს განცხადება გაკეთებული ქართველი ხალხის იმ მზაკვრულ აზრთან შესაგუებლად, რომ თრუსოს ხეობა, თავისი გუდაურიანად, ოსებს უნდა გადაეუღოცოთ, მაგრამ თქვენ გული არ გეტკინოთ, რადგან მთლიანად თრუსოს ხეობა, განსაკუთრებით კი გუდაური, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ტურისტული ცენტრი, დიდი ვერაფერი ბედუნააო. მოკლედ, საქართველოს დიდი კარტოგრაფი მკაცვს, რომელიც ისედაც **“ზაგრნის ტყავით”** დაპატარავებულ საქართველოში ჩვენს ხარჯზე ავლებს და ავლებს ქვეყნის ახალ საზღვრებს და თუ დროულად არ შევანერებთ, მალე საქართველოსაგან მხოლოდ ქართლის სოფლები ხცისი და წილკანი დაგვრჩება (ან, დაგვრჩება კი?)...

ყოველგვარ უადვილო ეჭვსა და უნდობლობას მე **“ოტელის სინდრომს”** ვუწოდებ, რადგან იგი შეიძლება მანიაში გადაეხარდოს ადამიანებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, უკვე მომხდარი და მოსალოდნელი სავალალო ფაქტები კრი-ალოსანის ქვეყნით ლამაზად და მიწობილი ერთმანეთზე, რამაც ამ ეჭვების დროულად გამჟღავნების სურვილი აღვიძრა.

უკვე მერამდენად ვაფრთხილებთ ჩვენს მოქალაქეებს და პოლიტიკური და მოქალაქობრივი სიფრთხილისაკენ მოვუწოდებთ მათ.

თავად განსაზღვრეთ, ანგარიშგასაწვეია თუ არა ჩვენს მიერ შემოკრული ეს განგაშის ზარი! ფაქტია – ქართველებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საქართველოს გაცამტვერებით გახარებულმა სომხებმა თავი მოწივებით არ დაუხარონ მიხეილ სააკაშვილს და დიდი მადლობა არ გადაუხადონ შემდეგი სიტყვებით:

– ჯივარო, ცვატანემ, **“Национални картограф”** – ჯან!

რ. შალამბერიძე



ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

სერგეი კრემლიოვი

ვფიქრობ, რომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ის ფრაგმენტი სტალინის მოხსენებიდან, რომელსაც ახლა გაგაცნობთ:

“მე, ამხანაგებო, მინდა ერთი რჩევა მოგცეთ, როგორც დემოკრატიის კანდიდატმა... თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქ დემოკრატიის კანდიდატსა და ამომრჩეველს შორის არსებობს ერთი, ჩემის აზრით საკმაოდ უცნაური დამოკიდებულება. ვიდრე მიმდინარეობს არჩევნები, კანდიდატები ეკეკლუცებიან ამომრჩეველებს, ერთგულებას ვფიცებიან, მუხლებზე დახსნავენ მათ წინაშე. გამოდის, რომ კანდიდატის ბედი მთლიანად ამომრჩეველზე დამოკიდებულია. როგორც კი არჩევნები ჩაივლის და კანდიდატი დემოკრატი ხდება, მისი დამოკიდებულება ამომრჩეველთან ძირითადად იცვლება. ამომრჩეველთან დამოკიდებულება დემოკრატიის სრული დამოუკიდებლობით იცვლება. მომავალ არჩევნებამდე დარჩენილი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში დემოკრატი სავსებით თავისუფალია მისი დაპირებებისაგან, ამომრჩეველის წინაშე აღებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან. მას შეუძლია გამოიცვალოს პოლიტიკური პლატფორმა, სწორი გზიდან გადაუხვიოს არასწორ გზაზე, გაიხლართოს რაღაც მაქინაციებში და მოიქცეს ისე, როგორც მას მოეპარინება”.

გ. პატივევამოლო მკითხველო! ხომ არ გაგონებთ ეს გულისამრევი სიმართლე ჩვენს დღევანდელ დროს?

მაგრამ, ეს არ არის ყველაფერი! სტალინის ამ სიტყვების შინაარსს ჩასწავებოდნენ მხოლოდ პარტიის “გენერლები”, რომლებიც კარგად იყვნენ გაცნობილები არჩევნების ტექნოლოგიას. მან კიდევ ერთი რამ თქვა, რაც ამომრჩეველებისათვის პირდაპირი რჩევა გახლდათ, პარტიოკრატებისათვის კი არც თუ სასიამოვნო მინიშნება:

“შეიძლება ასეთი დამოკიდებულება ნორმალურად ჩაითვალოს? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო! ეს მდგომარეობა გაითვალისწინა ჩვენმა კონსტიტუციამ და გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ამომრჩეველს შეუძლია ვადაზე ადრე გამოიწვიოს თავის მიერ არჩეული დემოკრატი, თუ იგი ნდობას ვერ გაამართლებს და დაიწყებდა თავისი მოვალეობა ამომრჩეველის წინაშე”.

მაგრამ ეს სიტყვები მიმართული იყო “პარტიოკრატთა პარტიისადმი” მაგრამ არა სტალინის პარტიისადმი, რომლის აქტიური “ხიშტი” გახლდათ ლავრენტი ბერია.

დაიწყო 1938 წელი. “ოპერაცია” შინსახკომი ჯერ ისევე გრძელდებოდა, მაგრამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს პარტიულ ლიდერს ბერიას ნამდვილად არ ჰქონდა საიმისო დრო რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისიარაიტი მთელი ჩატარებული გამოძიების პროცესებში ჩარეულიყო.

ჩაიარა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის იუბილის დღეებმა, პუშკინის იუბილემ, რომელიც საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე აღინიშნა. მაგრამ, ეს მაინც მეორე რიგის საზრუნავი გახლდათ. პირველი ადგილი მასწავლებელ საწარმოო პროცესებს ეკავათ...

მაგრამ, ახალი თბილისის მშენებლობა! მხოლოდ ამას შეეძლო ჩაეყვანა ბერიას თავისუფალი დრო, მით უმეტეს, რომ არქიტექტურა და მშენებლობა ბერიას პირველი სიყვარული გახლდათ.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი გამოცემის 53-ე ტომში, რომელიც 1946 წელს დაისტამბა, აღნიშნულია:

“თბილისისათვის ახალი ერა იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. თბილისი საქართველოს დედაქალაქია და იგი, ამავე დროს, ხდება ამიერკავკასიის დედაქალაქი. ქალაქის აღმშენებლობის საქმეში დიდი წარმატება იქნა მიღწეული იმ პერიოდში, როცა საქართველოს სათავეში ლავრენტი ბერია იდგა...”

აბსოლუტური ჭეშმარიტება! 1926 წელს თბილისში 294.044 ადამიანი ცხოვრობდა, 1939 წელს კი მოსახლეობის რიცხვი 519.175-მდე ავიდა – თითქმის ორჯერ გაიზარდა!

ვიმეორებ: საამშენებლო საქმეს ბერია პროფესიონალის დონეზე იყო გაცნობილი არა მხოლოდ თეორიულად – მისი სამთავრობო დასახვეწებელი სახლი ვაგრაში ბერიას პროექტით აშენდა, რომელსაც თან ერთვოდა ყოველნაირი ნახაზი და ხარჯთაღრიცხვა. და თბილისის სოციალისტურ რეკონსტრუქციას ბერია ახმარდა არა მხოლოდ სულსა და გულს, არამედ გონებასა და ცოდნას.

საქართველოს დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა 1933 წელს იქნა განხილული თბილისის ქალაქკომისა და ცეკას ბიუროს გაერთიანებულ პლენუმზე, სადაც ძირითადი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ლავრენტი ბერია.

საუბარი იყო არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლების აშენებაზე. ქალაქის საცხოვრებელი უბნების გაფართოების კვლადაკვალ უნდა განვითარებელიყო საკომუნიკაციო მეურნეობა, ქალაქს არ უნდა შეცვლილი იყოს იერსახე და ისტორიული ღირსეულობისა და მისი შორის ეკლესიების შენარჩუნება.

ორი ხუთწლედის განმავლობაში კომუნალური მეურნეობის განვითარებაში ჩაიღო 219 მილიონი მანეთი (არა პუტინის, არამედ სტალინის კურსით!). მიმდინარეობდა სერვისული სამუშაოები, რაც მთელი ქალაქის რეკონსტრუქციას ითვალისწინებდა.

ახალი საცხოვრებელი მასივი ვაკეში... ბერიას სახელობის მოედანი... კალიავეის აღმართი, რომელიც ქალაქის ცენტრთან აკავშირებდა ძირითად მუშათა რაიონს... მთლიანად განახლებული სადგურის მიმდებარე მოედანი... სამი კილომეტრიც სიგრძის მქონე სტალინის სახელობის სანაპირო... ახალი ხიდები, მათ შორის ჩელუსკინელების სახელობის ხიდი... ცირკი და ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი... შესანიშნავი კულტურისა და დასვენების პარკი და ფუნქციონალი მაღაღაგოთზე, საიდანაც იშლებოდა ქალაქისა და კავკასიონის მთაგრების ულამაზესი პანორამა... ახალი პარკი მადათოვის კუნძულზე...

1936-1938 წლებში აშენებული ფუნქციონალი თბილისისა და... ბერიას სიამავე გახლდათ. მაგრამ ბერიას ასევე შეეძლო ეამაყო ახალი წყალსადენის სისტემით, რომელიც ქალაქს ნატახტის გემრიელი წყლით ამარაგებდა... ახალი ელექტროსადგური... გოგირდის აბანოს ახალი შენობებით... ახალი სატელეფონო სადგურით... ბოტანიკური ბაღით... თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის შენობებით... ბაქტერიოლოგიის ინსტიტუტის დასახლებით...

და კიდევ, ტრამვაის მწყობრი ლინდავებით და ახალი თბილისისათვის სრულიად ახალი ტრანსპორტით – ტროლეიბუსითა და ავტობუსით. 1938 წელს დამთავრდა საქართველოს მთავრობის სასახლის ანსამბლის მშენებლობა, რომლის პროექტის ავტორი იყო უდიდესი შენობა ამიერკავკასიაში. აკადემიკოს ა. სრუსევის პროექტით, რომლის შექმნის თანამონაწილეც გახლდათ არქიტექტორი პ. სარდარიანი, 1938 წელს აშენდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მონუმენტური შენობა. აი, როგორი იყო 1937 და 1938 წლები საქართველოს დედაქალაქისა და ლავრენტი ბერიასათვის... და საქართველოს დედაქალაქში მიმდინარე ამ აღმშენებლობით პროცესებს საფუძვლად ედო არა მხოლოდ განვითარების გენერალური გეგმა, არამედ ბერიას არქიტექტურული ტალანტიც. ეს ხომ ყველას უნდა ვგახსოვდეს, განსაკუთრებით კი თბილისელებს.

იგი უდროობის გამო იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე სამშენებლო მოედნებზე, და თუ მიდიოდა, ისიც გვიან დამით... ასე უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მიიღებდა მიმდინარე მოვლენებზე...

და მიუღი დღის თავაუღებელი მუშაობის შემდეგ, ღამის სიმშვიდეში, კიდევ ერთხელ შეეძლო გადაეხედა წარსულისათვის და წარმოედგინა, თუ რამდენი რამ დარჩა გაუკეთებელი იმიტომ, რომ არქიტექტორი ვერ გახდა.

1934 წელს შეიქმნა საქართველოს არქიტექტორთა კავშირი. ეს იყო საერთო ტენდენცია საბჭოთა კავშირში – სახკომსაბჭოს და სსრკ კომპარტიის ცეკას ერთობლივი დადგენილება არქიტექტურის თაობაზე მიღებულ იქნა 1932 წელს. ის, რომ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ამ დადგენილების მოთხოვნათა შესრულება არ დაგვიანებულა, ამ საქმისადმი ბერიას დიდი ინტერესით იყო განპირობებული. იგი 1937 წლის დასაწყისამდე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი გახლდათ და სწორედ მის სახელს უკავშირდება ერევნის გენერალური რეკონსტრუქცია, რაც იმაზე მიაჩნებოდა, რომ ბერიას ზრუნვის საგანს მხოლოდ თბილისი არ წარმოადგენდა.

ფორმალურად მას არც ერთი შენობა არ აუგია. მაგრამ იგი მაინც გახდა არქიტექტორი, მაგრამ არა რომელიმე კონკრეტული, თუნდაც დიდი ანსამბლის, არამედ მთელი საზოგადოების გარდაქმნის.

და დარწმუნებული იყო, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრს გააკეთებდა... დიახ, 1937 წელს საქმიანმა ხალხმა, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მეტი თავისუფლება იგრძნო და თვითდაჯერებული გახდა.

ახალი რუსეთის ისეთი მოძულე ისტორიკოსი-ემიგრანტიც კი, როგორც გიორგი ფედოტოვი იყო, თავის ნაწარმოებში “რუსეთის მომენტალური ფორტო 1936 წლის 1 იანვრისათვის” იძულებული იყო გულისტკივილით ეღიარებინა, რომ: “...სტალინმა ფართოდ გაუღო კარი პრაქტიკოს-პროფესიონალებს... სტალინის ნამდვილი საყრდენი გახლავთ კლასი, რომელსაც თავად უწოდა “აღიარებული” ადამიანები... პარტიული ბიდეით და წარსულის დამსახურებები ბევრს არაფერს ნიშნავს; პირადი შესაძლებლობები კი – ყველაფერს... ამ ახალ მმართველ კლასში შედიან... ჩეკისტები, წითელი არმიის მეთაურები, საუკეთესო ინჟინრები, ტექნიკოსები, მეცნიერები და ახალი ქვეყნის მშენებლები...”

ახალი საბჭოთა პარტიოტიზმი ის ფაქტია, რომლის უარყოფა არ შეიძლება. ეს

რუსეთის ერთადერთი შანსია”.

ამას ხომ მტერი წერდა! აშკარა მტერი... გაბოროტებული... ჩვენი მოძულე...

1937 წლის მეორე ნახევარში სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად დაინიშნა ლაზარ კაგანოვიჩი. ახალ სახალხო კომისარს პრობლემები თავსაყრელად ჰქონდა, თანაც, მართლაც “მძიმე” – გაცდენები, ავარიები, ჯერ კიდევ ამოუძირკვავი მაგნებლობა.

და დაიწყო სახალხო კომისარმა არარეპრესიებით, როგორც ამას ამტკიცებენ “დემოკრატები”, არამედ ხალხის არჩევით. კაგანოვიჩი სახალხო კომისარი გახდა 22 აგვისტოს, 26 ოქტომბერს კი გაიმართა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარაიტის აქტივის შეკრება, რომელიც სექტემბერში მომხადდა.

შედეგებმა მაშინვე იჩინეს თავი. 1938 წელს დაიყო პირველი საბრძოლველუმელის მშენებლობა, რომელიც კანგბადის დანადგარზე მუშაობდა, რამაც ლუმელის წარმადობა ორჯერ გაზარდა. გაუმჯობესდა ასევე ნავლინის წარმოების პროცესი...

პროფესორებმა ვოლოგდინმა და გვეკლინგმა შეიმუშავეს მეტალის ზედაპირულად წრობის მეთოდი მაღალი ძაბვის დენის გამოყენებით და კაგანოვიჩი მაშინვე დაინტერესდა ამ უნიკალური გამოგონებით. კაგანოვიჩმა, როგორც ყოფილმა რკინიგზის სახალხო კომისარმა კარგად იცოდა, რომ ეს მეთოდი მკვეთრად შეამცირებდა რკინიგზის ლინდავების ცვეთის პროცესს.

სხვათა შორის, პროფესორი ვალენტინე პეტრეს ძე ვოლოგდინი (1937 წელს იგი 56 წლისა იყო) გახლდათ ნიკეგოროდში 1918 წელს რადიოლაბორატორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1919 წელს კი შექმნა ვერცხლისწყლის თხევადკათოდინი გამმართეული, 1927 წელს დანერგა ტიტანის ორჟანგის გამოყენებით ხელოვნური დიელექტრიკის მიღების მეთოდიც... იგი დრმა სიბერემდე ემსახურა რუსეთს, 1943 წელს მიიღო სტალინური პრემია, დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. 1948 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ მას მიანიჭა ა.ს. პოპოვის სახელობის ოქროს მედალი.

იგი არავის შეუვიწროვებია, არც რეპრესია შეხებია.

მისი უფროსი ძმა – სერგეი იყო მეტალმცოდნე, დონის (ნოვოჩერკასსკის) პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ასევე ერთგულად ემსახურებოდა რუსეთს 1926 წლამდე, ვიდრე 52 წლის ასაკში გარდაიცვლებოდა.

სწავლული-მეტალმცოდნე ნიკოლოზ ვლადიმერის ძე გვეკლინგი, რომელიც შემდეგ საავიაციო-საინჟინრო სამსახურის გენერალ-მაიორი გახდა, იყო ლენინის ორდენისანი და ჰქონდა მიღებული კიდევ 4 ორდენი.

არც მას განუცდია რაიმე სახის რეპრესია.

უბრალოდ, საამისო მიზეზი არ არსებობდა!

1937 წლის 25 ნოემბერს კაგანოვიჩმა სვერდლოვსკში ფერადი მეტალურგიის მუშაკთა აქტივის სხდომა ჩაატარა, რომლებიც აწარმოებდნენ სპილენძს, ალუმინს, ტყვიას, კალას, ოქროს, სხვა იშვიათ მეტალებს.

1938 წლის მარტში ჩატარდა ოქროს წარმოების დარგის მუშაკთა თათბირი... მოგვიანებით – ცემენტის წარმოების დარგის თანამშრომლებისა, ორჯერ მოეწყო მშენებლობის დარგის აქტივის სხდომა.

ახალი იმპულსი მიიღეს მრეწველობის სხვა დარგებმაც – სათბობ-ენერგეტიკის, ქიმიურმა, საამშენებლომ და საშენ მასალათა წარმოებამ...

გავრძელება იქნება

როგორ უნდა გახდეს ჭეშმარიტი „ნასი“

თბილისის ფორუმზე – forum.ge-ზე ამჯერად ნაციონალური მოძრაობის წევრობის კანდიდატების ფიცი დადეს. იმისთვის, რომ გახდეს „ჭეშმარიტი ნაცი“, ზედმიწევნით უნდა გაითავისო აქ მოყვანილი პუნქტები. ფიცი 10 პუნქტისგან შედგება, „სრულყოფის მიზნით“ მას კიდევ რამდენიმე პუნქტს ჩაუმატებთ, რათა სრულყოფილი ნაციონალის სახე მივიღოთ. ილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, მაშინაც კი, როდესაც ეს სიმართლე სიმართლეს არ შეესაბამება; გადაიკვა ზეინკლის ფორმა და ფონი გაუკეთო ბატონ პრეზიდენტს – როგორია სინამდვილეში „ჭეშმარიტი ნაცი“ სახე?

ჩვენ შეითხველ ახსოვს, ალბათ, „ნორჩი მიშისტის გზამკვლევი“, დაახლოებით, იგივე შეინიშნება აქაც, თუმცა ავტორისგან განსხვავებით, ამ წესდებს უფრო ხელისუფლების ცხოვრების კრელოს დავარქმევდი, ვინაიდან ის, რაც აქ წერია, გაკითხვით, გაიხსენოთ ხელისუფლების რომელიმე წევრი, რომელსაც აღნიშნული წესდების ყველა მუხლი არ ჰქონდეს „შესრულებული“. მას ასე:

„მე, ნაციონალური მოძრაობის წევრად არჩევის შემთხვევაში, ვდებ საზეიმო ფიცს, რომ:

1. პრეზიდენტი მაგარია! დავდებ მის გვერდით ნებისმიერ სიტუაციაში, თანამდებობის მისაღებად;
2. დაეთანხმებო ნებისმიერ შემთავაზებულ თანამდებობას, თუნდაც ამ სამსახურის არაფერი გამეგებოდეს;
3. ვილაპარაკებ სიმართლეს და მხოლოდ

ლოდ სიმართლეს, მაშინაც კი, როცა ეს სიმართლე სიმართლეს არ შეესაბამება;

4. მზად ვარ, პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავიდე ოპოზიციაში, მოვევლინო მათ ერთ-ერთ ლიდერად და გადავწყვიტო სიტუაციაში ისევე უკან დაებრუნდეს;

5. პრეზიდენტის და პარტიის დასაცავად, მზად ვარ, უკმაყოფილო ხალხის შეკრების შემთხვევაში, ადვილურად წყლის პარკებით, კისტის თოფითა და სხვა საშუალებებით, გამოვიყენო ისინი სამშობლოს დასაცავად;

6. თუ ზემდგომი ორგანოები დამდებენ პატივს და ჩამსვამენ რომელიმე ბიზნისის წილში, მზად ვარ, პირად კეთილდღეობასთან ერთად, აღნიშნული წილი მოვახმარო არჩევნებს, ოპოზიციონერთა მოსყიდვასა და, ასევე, ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს;

7. არჩევნების წინ, ქუჩაში მოსახლეობის გამოკითხვის დროს მზად ვარ დავდგე „რუსთავი 2“-ის კამერის წინ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე და ვილაპარაკო ხელისუფლების წარმატებებზე;

8. ჩემი პარლამენტის დეპუტატად გაყვანის შემთხვევაში, მზად ვარ, თხი წლის განმავლობაში ვიჯდე მდუმარედ და ხმა მივცე უმრავლესობის მიერ შემოტანილ ნებისმიერ კანონპროექტს, თუნდაც ეს კანონპროექტი წაკითხული არ მქონდეს;

9. პიარის საჭიროების შემთხვევაში, მზად ვარ, გადავიკვა ზეინკალ-შემდღებლის ფორმა (მიუხედავად ჩემი თანამდებობისა) და შევასრულო პრესკონფერენციის ფონის ფუნქცია;

10. თუ ამ პუნქტებიდან რომელიმე დარღვევა გადავწყვიტე, მზად ვარ, წავიკითხო ამ ფიცის პირველი პუნქტი.

პირველივე პუნქტის წაკითხვისას, „ვარდების რევოლუცია“ გაგახსენდებოთ, „კმარას“ ბევრმა აქტივისტმა, რომლებმაც წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ, უცებ მოგვევლინენ მაღალ პოსტებზე. იმიტომ იყო, რომ სადაც მივიდნენ, ყველა სფერო ჩაკლეს და რომ მიხვდნენ, არაფერი იცოდნენ, მერე მოუნდათ კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოეთში წასვლა. ეს უკანასკნელიც ამ წესდებშია ჩადებული. პრინციპში, რა მოხდა ამით? მთავარია, კარგი მენეჯერი იყო, მოვიდა ბენდუქიძე, ეკონომიკა ხომ ვერ აგვიყვავა, სამაგიეროდ, სტრატეგიული ობიექტები მიჰყიდეს უზბეკებს, რუსებს თუ მანქურთებს.

რამდენი კადრი ჩამოიყვანეს, რომლებსაც ფეხი რუსეთში ჰქონდათ ადგილი, მისი მოქალაქე იყო და რუსეთს ლანძღავდა კიდევ. ვაშაძე ომის პერიოდშიც რუსეთის მოქალაქე იყო და ძლივს დათმო ორმაგი მოქალაქეობა. პოლა, ამ წესდებს დავამატო:

– თუ არ იქნები ორმაგი მოქალაქე, საქართველოსა და რუსეთის, და არ დაიწყო რუსეთის ლანძღვა, ისე მინისტრთა კაბინეტში ცხვირს არ შეგაყოფინებო;

– და კიდევ ერთი პუნქტი:
– მზად ვარ 24-სათიან რეჟიმში დუშობრეულმა ქვეყნის მტერი და რუსეთის აგენტი ვუძახო ნებისმიერს, ვისი აზრიც მიუღებელი იქნება ჩვენთვის და პარალელურად უპრობლემოდ დაეუჭირო მხარი

სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვას;

და არ გამოგვრჩეს, უცხო ქვეყანაში საქმიანი ვიზიტის დროს, ჩემ წინ გაჩერებულ ტაქსისტს დედას ვაგინებ და რესტორნის ტუალეტამდე მიყვები ცხვირ-პირის დასალეწად, რადგან ვიცი, ჩემი მიშკოს ავტორიტეტი არ დამაღალატებს და, დიპლომატიური პასპორტების ხარჯზე, ხელშეუხებელი ვარ უცხოეთშიც კი.

აუცილებელი პუნქტია: „დავარბიოთ, აღვავლოთ პირისაგან მიწისა ყველა, ვინც ჩვენ გვაკრიტიკებს, დავარბიოთ მასმედიის საშუალებები, წავიღოთ კომპიუტერები, ტელეფონები, წიგნები, უბის წიგნაკებიც კი. რასაც ვერ წავიღებთ, დავამტვრიოთ სიამოვნებით (როგორც ეს გახუთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში გააკეთეთ...). გიტოვებთ მხოლოდ ტუალეტის ქაღალდს, მადლობა საჭირო არ არის...“

ამ ფიცის დადებაზე „რიგები“ იქნება და უარსაც არავის ეუბნებიან, ალბათ. ვინც ცოცხალია, უარი უთხრეს „მსურველს“, ბოლო პუნქტიც დავამატო – თუ არ მიმიღებთ ნაცების რიგებში, გადავდივარ ოპოზიციაში, თქვე მეველებო, მასონებო, ტამარტმგერეველნო, გამყიდველებო... საკნები, საკნები, საკნები ჩქარა!!!

მაგდა კლდიაშვილი
P.S. თუ რამეში შეეწინააღმდეგები სისტემას, უალტერნატივოდ უცხოეთში – სასწავლებლად!

გ. ბათიაშვილი: „ბატონის სრული გაშრობისთვის 24 დღეა საჭირო, ჩაბატონებული საყრდენები სიძველე რომ იქნას“

დედაქალაქში მიწისზედა გადასასვლელი ხიდების ბუფია. შარშან თბილისში 20 ხიდი აშენდა, წლეულსაც ამდენივეს აშენებას გეგმავენ. ქალაქის მერის მტკიცებით, ეს გადასასვლელი ხიდები, მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების გარანტი იქნება, თუმცა არც ისეა საქმე, როგორც ბატონი მერი გვარწმუნებს. რეალურად რამდენად უსაფრთხოა ეს ხიდები, აკმაყოფილებს თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს – ამაზე სიმართლეს სპეციალისტები გვეტყვიან; მაგრამ, თუ ეს გიგი უგულავას მორიგი პიარ-აქციაა, მაშინ გადაამწყვეტ სიტყვას საზოგადოება მერის არჩევისას იტყვის.

დიდი ხანია, რაც სახელისუფლო არხების მეშვეობით ამ ხიდების უსაფრთხოებაზე საუბრობენ. ცხადია, ხელისუფლებისა და მისი „ჯიბის“ არასამთავრობო ორგანიზაციების ამდენი ტყუილი „უგულავას ხიდების“ გაპიარებას ემსახურება.

28 იანვარს თურქეთში რკინის კონსტრუქციით აწყობულ მსგავს ხიდს მანქანა, რომელსაც საბარგული აეხადა, გამოედო, რის შედეგადაც კონსტრუქცია ჩამოიშალა და ადამიანები ქვეშ მოიყოლა. ამ შემთხვევის შემდეგ თბილისში მითქმა-მოთქმა ატყდა, რომ უგულავას ხიდებიც ისეთივე უხარისხოა, არ შეესაბამება სტანდარტებს, ამ ხიდების მშენებლობა თბილისის მერის არჩევნებს უკავშირდება და გიგი უგულავას პიარის ერთ-ერთი ნაწილიაო.

ვიდეო მასალის (რომელზეც თურქეთში ხიდის ჩამოშლის კადრები ჩანს) გავრცელებიდან მერე დღეს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეობიდან ასოციაციაში „დაცული მოძრაობა“ გადაბარებულმა დაეით მესხიშვილმა ბრიფინგი გამართა და მოსახლეობას ამცნო: „წლის ბოლომდე დედაქალაქში კიდევ 20-მდე გადასასვლელი ხიდი დამონტაჟდება, რომლებიც ეფექტური და უსაფრთხო საშუალება იქნება ფეხით მოსიარულეებისთვის გზის გადაკვეთისას. ახალი ხიდები, რომლებიც თბილისში საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მონტაჟდება, უბედური შემთხვევების რაოდენობას შეამცირებს“.

ხელისუფლებამ მესხიშვილი რუპორად გამოიყვანა და საინფორმაციო საშუალებები მთელი დღის განმავლობაში პირველ ნიუსად მესხიშვილის ამ განცხადებას უშვებდნენ.

პეკინისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების გადაკვეთაზე მიწისზედა გადასასვლელი ხიდი სულ ახლახან რამდენიმე დღეში დამონტაჟდა. გზაჯვარედინზე შუქნიშანიც არის, ამიტომ უსაფრთხოდ ქუჩის გადაკვეთა ისედაც სავსებით შესაძლებელი იყო. რაც შეეხება ხიდს, იგი საკმაოდ მაღალია და მასზე ასვლა, მერწმუნეთ, ხანში შესული ადამიანებისთვის არც თუ ისე მოსახერხებელია. ამასთან, ამ ხიდზე გადასვლისას ფეხი ელექტროსადენს უნდა გადააბიჯო, რომელიც რატომღაც აქ არ დაუფლიათ და ძალიან სახიფათოა.

რა გამოდის? – ან გზაზე დაგარტყამს მანქანა, ან ხიდზე – დენი!

პირველი ასეთი გადასასვლელი თბილისში მარშალ გელოვანის გამზირზე 2008 წელს აიგო. თითო ხიდის დამონტაჟება დედაქალაქის მერიას 150 000 ლარი უჯდება. ამდენად, ამ ხიდების მშენებლობაში გასულ წელს მერიამ 4 მილიონი ლარი დახარჯა და წელსაც ამდენივეს დახარჯავს აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხიდების მოუხერხებლობაზე მოსახლეობა უკვე ბევრი საუბრობს.

ჩვენ არქიტექტორ გიგა ბათიაშვილს დაეუკავშირდით, რათა კომპეტენტური აზრი მოგვესმინა იმის გასარკვევად, რამდენად აკმაყოფილებს ეს ხიდები საერთაშორისო სტანდარტებს და არის თუ არა უსაფრთხო. აი, რა გვითხრა მან:

„როცა ქალაქში გადატვირთულია ტრანსპორტი, მიწისქვეშა ან მიწისზედა გადასასვლელი აშენება-დამონტაჟება აუცილებელია, მაგრამ ეს ყველაფერი შესაბამისი სტანდარტების დაცვით უნდა მოხდეს. მიწისზედა გადასასვლელი ხიდების დამონტაჟებისას დაცული უნდა იქნას მისი სიმაღლის ნორმა – ოთხ-ნახევარი მეტრი. ასეთი ხიდები აუცილებლად უნდა იყოს მექანიზირებული და კომფორტული უნარშეზღუდული ადამიანებისთვისაც. თუკი ხიდი 4 მეტრზე მაღალ სიმაღლეზეა, მასზე ასვლა ასაკოვან ადამიანებს და, მითუმეტეს, ინვალიდებს, უჭირთ ან არ შეუძლიათ. ეს ხიდები ყველა აუცილებელ პირობას ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც, როგორც ხედავთ, მათი ხალხი ნაკლებად სარგებლობს. რამდენადაც ვიცი, სიმაღლის სტანდარტი დაცულია, ხოლო რკინის კონსტრუქციის აწყობაც რამდენიმე დღეშია შესაძლებელი. რაც შეეხება საყრდენებს, ისინი აუცილებლად უნდა ჩაბეტონდეს, ბეტონის სრული გაშრობისთვის კი 24 დღეა საჭირო, ჩაბეტონებული საყრდენები საიმედო რომ იქნეს“.

მერიასთან, შარტავას ქუჩაზე ასეთი ხიდი დაახლოებით 4 დღეში აიწყო; ისე, რომ მიწაში რკინის ბოძები არ ჩაუბეტონებიათ. ხიდს კიბეც გაუკეთეს, მაგრამ... მხოლოდ ერთი მხრიდან...“

წერეთლის გამზირზე კი ჯერ მთავარი ბოძები ჩაიყარა და ჩაბეტონდა, შემდეგ – კიბის ბოძები და მხოლოდ ამის მერე გაიღო ხიდი, მაგრამ ვუკვობთ, რომ ორ ბოძზე გადებული ხიდი მთლად საიმედო იყო. ხან ისე ააშენო, ხან ასე, ნდობის გარანტიად ნამდვილად ვერ გამოდგება, მთავარი წესის დაცვაა.

როგორც ხედავთ, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით ქალაქის მერიას თავი არ მოუკლავს. ოთხ დღეში ან თუნდაც ერთ კვირაში დამონტაჟებული რკინის კონსტრუქცია, გამოცდილი არქიტექტორის კომენტარის შემდეგ, საიმედოდ ნამდვილად არ მიგვანია.

დედაქალაქის მერის მტკიცებით კი, ეს ხიდები უფრო კომფორტულია და მიწისქვეშა გადასასვლელთან შე-

დარებით მათი მშენებლობაც გაცილებით იაფი ჯდება. სიმართლე რომ ვთქვათ, უგულავას ხიდები კი არა, უგულავასა და მისნაირების ყოფნა სახიფათო ხელისუფლებას.

მიღიხარ შენთვის წინარად ხიდზე და, უცებ, ქვემოთ ვიდაცის მანქანას საბარგული თუ აეხდებო, რას წარმოიდგენ, თუ ხიდიანად თავზე დაეცემი?! საბარგულმა ხიდი როგორ უნდა ჩამოანგრის?! ღმერთმა არ ქნას, მსგავსი რამ ჩვენთანაც განმეორდეს.

როგორც ბატონი მერი აცხადებს, მერია ინვალიდებზეც ზრუნავს. სულ მალე ტენდერი ჩატარდება და გამარჯვებული კომპანია ახალ ხიდებთან სპეციალურ ლიფტებს დაამონტაჟებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ფასიანი იქნება. ზრუნვაც ასეთი უნდა...

რ. ნორაკიძე



სააკაშვილის ხელისუფლების მორიგი ავანტიურა!

თბილისისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობის საკითხი. საინტერესოა, რამდენად მიზანშეწონილია, მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში, დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელობის მხრიდან ამ პრობლემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები ეკოლოგიური, საპროექტო-სამშენებლო, ფინანსური და მოძრაობის განუხტვის თვალსაზრისით.

სწორედ ამიტომ ჩვენ დაინტერესდით პარკ „მზიურთან“ გამავალ მდინარე ვერეზე ბეტონის საავტომობილო-სამაგისტრალო კომპლექსის მშენებლობით, რომელიც დააკავშირებს თამარაშვილის ქუჩას „გამირთა მოედანთან“.

არის თუ არა მშენებლობა კანონიერი? „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, რკინიგზისა და მათზე განთავსებული ხიდების, გზაგამტარი გვირაბის, აგროთევე, საავტომობილო გზის, რკინიგზისა და მათი ტერიტორიების საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება“...

კომპლექსის მშენებლობა საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგებას ითვალისწინებს, რასაც არ უარყოფენ პროექტის ავტორი (შპს „საქტ ზამეცნიერება“, დირექტორი თამაზ შილაკაძე, ქ. თბილისის საპატო მოქალაქე) და მშენებელი (შპს „kavkasus roud projeq“, დირექტორი პაატა ტრაპაიძე, მედიკოსი), ხოლო კომპლექსის დამკვეთი (თბილისის მერია) საქართველოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარკვეული სამსახურების მისამართით ვაგზავნილ წერილებში უარყოფს კომპლექსის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასა და გარემოზე ზეგავლენის ნებართვის მიღების აუცილებლობას, რასაც შემდეგი დოკუმენტების არსებობა ადასტურებს:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ეკატერინე ბენდელიანმა ასოციაციის „მწვანე ალტერნატივა“ აღმასრულებელ დირექტორს – ნინო გუჯარაიძეს წერილობით აცნობა, რომ „თბილისში ვარაზისხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არ მონაწილეობდა“...

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დირექტორისა და ნებართვების სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჭახნაიამ ამავე სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროს ნიკოლოზ ჩიმაკაძეს აცნობა, რომ „„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის საფუძველია ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. გაცნობებით, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, რკინიგზისა და მათზე განთავსებული ხიდების, გვირაბების, აგროთევე, საავტომობილო გზის, რკინიგზისა და მათი ტერიტორიების საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება“.

თუ ვაგვითვალისწინებთ, რომ კომპლექსის პროექტში საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება ფიგურირებს, უდაოა, რომ სხენებული კანონი ავალდებულებს დამკვეთს, პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩატაროს და, დადებითი დასკვნის შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებიდან გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მიიღოს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარე-

მოს დაცვის ინსპექციის უფროსის ნიკოლოზ ჩიმაკაძისთვის ვაგზავნილ წერილში ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია (ხელს აწერს ქ. თბილისის მერის მოადგილე დავით ალაიძე) აღნიშნავს, რომ „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრება საავტომობილო გზების სახეობანი და კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზე თავისი დანიშნულების მიხედვით საავტომობილო გზები იყოფა საერთო სარგებლობისა და საუწყებო გზებად. „საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები სამეურნეო და თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებად. მშენებლობა, მისი შენახვა და განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და მასზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემას კანონი არ ითვალისწინებს“.

როგორც ხედავთ, თბილისის მერიის მოადგილე დავით ალაიძე თავისივე ხელმოწერით ადასტურებს, რომ, როგორც სახელმწიფო მოხელე კომპლექსთან მიმართებაში ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას – ცდილობს საქართველოს კანონის „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ ზემოდ აღნიშნული მოთხოვნის არა მარტო იგნორირება მოახდინოს, არამედ გააყალბოს კიდევ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსს ნიკოლოზ ჩიმაკაძეს ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ლიპარტია უცხადებს, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზების“ მშენებლობა. გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი არ განეკუთვნება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას“. სახეზეა დასტური იმისა, რომ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ლიპარტია ბოროტად იყენებს დაკავებულ თანამდებობას, რადგან კომპლექსის პროექტთან მიმართებაში მოქმედებს ისევე, როგორც მისი ზემდგომი ხელმძღვანელი პირი დავით ალაიძე.

უდაოა, რომ სახელმწიფო მოხელეებმა, ქ. თბილისის მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა დავით ალაიძემ და გიორგი ლიპარტიამ ამგვარი ქმედებით ეჭვქვეშ დააყენეს საპროექტო გადაწყვეტილების კანონიერება, კერძოდ, პროექტით ვაგვითვალისწინებული და სახელმწიფოს ან დედაქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა.

ჟურნალისტური გამოძიების მსოლოდ ამ ეტაპზე გამოვლენილი ზემოდ აღნიშნული ფაქტები დედაქალაქის მერის – გიგი უგულავასთვის რომ არ იყოს ცნობილი, იგი, როგორც ქ. თბილისის მერიის პირველი პირი, პასუხს აგებს, სულ მცირე, გულგრილი დამოკიდებულებისთვის.

ე. ი. კომპლექსის მშენებლობა, რომელიც ამაჟამად მიმდინარეობს, უნდა შეჩერდეს, როგორც უკანონო, რაც პირდაპირ ავალდებულებს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (უფროსი ზვიად კერვალიშვილი), გაერკვეს შექმნილ მდგომარეობაში და მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება.

საინტერესოა, რატომ წაუყრევს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობამ, კერძოდ ნიკოლოზ ჭახნაიამ და ნიკოლოზ ჩიმაკაძემ, როცა მათ ქ. თბილისის მერიის ხელმძღვანელობამ წერილობით აცნობა იმის შესახებ, რომ კომპლექსის პროექტში არსებობს საინჟინრო

დაცვის ნაგებობები, მათ კი არ ჩათვალეს საავალდებულოდ, დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელებისგან მოეთხოვათ პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღება.

სახეზეა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების – ნიკოლოზ ჭახნაიასა და ნიკოლოზ ჩიმაკაძის მხრიდან ჩადენილი თანამდებობრივი გულგრილობა, რითაც მათ, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელმა პირებმა, ხელი შეუწყვეს ქ. თბილისის მერიის ხელმძღვანელობას ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება – კომპლექსის უნებართვო მშენებლობა.

არსებობს თუ არა კომპლექსის სრული პროექტი, რომელიც შედგება დამკვეთისგან მიღებული ტექნიკური დავალებისგან, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისგან, ტექნიკური პროექტისა და მუშა ნახაზებისგან, ჩვენთვის დღემდე უცნობია.

ერთ თვეზე მეტია, რაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობით მიმართეთ კომპლექსის დამკვეთს. მიუხედავად ამისა, პასუხი დღემდე არ მიგვიღია. დამკვეთი, ამ შემთხვევაში გიგი უგულავა, მოქმედი კანონმდებლობის სრული იგნორირებით არღვევს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას.

პროექტის ავტორთან და მშენებელთან საუბრების შედეგად კი შევიტყვეთ, რომ კომპლექსის საავტომობილო გზის უმთავრესი ნაწილი დაეყრდნობა რკინიგზის ბურჯებს. გზის გარკვეული უბნები განლაგდება რკინიგზის კედლებსა და მათ მიერ განთავსებულ უცხოეთიდან ჩამოტანილ, რკინის (შიგნიდან და გარედან თუთიით დაფარულ) რამდენიმე ოვალური ფორმის გარკვეული სიგრძის კონსტრუქციებზე, რის შედეგადაც მდინარე ვერეს სხენებული მონაკვეთები ამგვარი საინჟინრო დაცვის ნაგებობების შიდა სივრცეში მოექცევა. გმირთა მოედანზე რამდენიმე მიმართულებით გაივლის საავტომობილო ესტაკადები, რომლებიც ამ ავტომაგისტრალის გაგრძელებას დაუკავშირდება.

მშენებლის პირველი პირის – პაატა ტრაპაიძის აზრით, კომპლექსი ვაკე-საბურთალოს რაიონში არსებული და ყოველწლიურად ზრდადი მოძრავი საავტომობილო ძირითადი მიმართულებების ნაკადების განმუხტვას შეძლებს, თუმცა, თუ ვაგვითვალისწინებთ დედაქალაქის საავტომობილო ტრანსპორტის ზრდის ინტენსიურობას, იგი არ აკონკრეტებს, რა დროში შეძლებს კომპლექსი „ზრდადი ნაკადის“ განმუხტვას;

პროექტის ავტორ შპს „საქტ ზამეცნიერების“ ხელმძღვანელმა თამაზ შილაკაძემ განგვიმტობა, რომ პროექტი შედგენილია ისე, რომ მასში გათვალისწინებული განმუხტვის მაღალი მაჩვენებელი არც ის აკონკრეტებს განმუხტვის მაჩვენებელი რა დროის განმავლობაში „იმუშავებს“.

პროექტის ავტორი და მშენებელი ირწმუნებიან, რომ, დამკვეთის მოთხოვნით, პროექტის შექმნა და მშენებლობა პარალელურად ხორციელდება.

თუ ეს ასეა, მაშინ დამკვეთს უნდა ჰქონდეს საქართველოს მთავრობის (თუ დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან) ან თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებები (თუ დაფინანსება ხორციელდება დედაქალაქის ბიუჯეტიდან), რომლებშიც უნდა იყოს დასაბუთებული არსებული ფორს-მაჟორული ხასიათის მიზეზი ან მიზეზები, რომელთა შედეგად პროექტირება და მშენებლობა აუცილებლად უნდა განხორციელდეს პარალელურ რეჟიმში. ამ დოკუმენტების არსებობას თამაზ შილაკაძე და პაატა ტრაპაიძე არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

საკამათო არ არის, რომ ფორს-მაჟორული სიტუაცია დედაქალაქში, საავტომობილო ტრანსპორტის განმუხტვის თვალსაზრისით, არ არსებობს. თუმცა

პიკის საათებში ყოველდღიურად, კერძოდ, ვაკე-საბურთალოს რაიონს, გმირთა მოედანს, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის გამზირებს, პეკინისა და მერაბ კოსტავას ქუჩებს ახასიათებს ე. წ. საცობები.

ამავე დროს თამაზ შილაკაძე და პაატა ტრაპაიძე არ ადასტურებენ, რომ პროექტის შექმნისა და მშენებლობის ტენდერები სინამდვილეში ერთდროულად ჩატარდა. უფრო მეტიც, ისინი აცხადებენ, რომ საპროექტო და სამშენებლო ტენდერები დამკვეთმა – თბილისის მერიამ სხვადასხვა დროს ჩატარა. კერძოდ, ჯერ ჩატარდა საპროექტო, რამდენიმე თვის შემდეგ კი – სამშენებლო ტენდერები.

პროექტის ავტორი ირწმუნება, რომ მის მიერ შედგენილი საპროექტო დოკუმენტაცია დროულად გადასცა დამკვეთს. ეს კი უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მას და დამკვეთს კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაცია სრულყოფილი ფორმით აქვთ.

გაურკვეველია, ვინ განსაზღვრა და რამდენად გამართლებულია, როგორც ფინანსური, ასევე კონსტრუქციის მდგრადობის თვალსაზრისით, მისი მდინარის (მდინარე ვერეს) პირობებში უცხოეთიდან ჩამოტანილი ხსენებული რკინის გვირაბის გამოყენება, როცა მის სანაცვლოდ შეიძლებოდა გამოყენებულიყო რკინიგზის კონსტრუქცია, რომლის მდგრადობა მთის მდინარეებისთვის საქართველოში ექსპლუატაციის პირობებში გამოცდილია თითქმის ახი წლის მანძილზე.

პროექტის ავტორი გვიცხადებს, რომ უცხოეთში დამზადებული აღნიშნული რკინის გვირაბის ტიპის კონსტრუქციის გამოყენება მის მიერ შედგენილ პროექტში არ ფიგურირებს. იგი აცხადებს, რომ დამკვეთს განსახილველად წარუდგინა საპროექტო გადაწყვეტილების რამდენიმე ვარიანტი. ამავე დროს ავტორი არ ადასტურებს, რომ ერთ-ერთ მათგანში ფიგურირებდა უცხოეთში დამზადებული კონსტრუქცია, რომლის ღირებულება მისთვის დღესაც არ არის ცნობილი.

თუ ვიგულისხმებთ, რომ პროექტის ავტორმა დამკვეთს მშენებლობის ტენდერამდე ჩააბარა სრული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელშიც აღინიშნებოდა პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება და მის მიერ შედგენილ პროექტში არ ფიგურირებდა უცხოური კონსტრუქცია, უდაოა, რომ მისი არსებობა „გაჩნდა“ ან სამშენებლო ტენდერზე, ან მის შემდეგ დამკვეთისა და მშენებლის ინიციატივით.

თუ დამკვეთმა შეიტანა პროექტში ცვლილება, რასაც ოფიციალურად არ დაეთანხმა პროექტის ავტორი, სახეზეა დამკვეთის მხრიდან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის იგნორირების მცდელობა.

ცნობილი სამაშულო პიდროლოგების, პიდრომორფოლოგებისა და მეტალურგების შეფასებით, მთის მდინარეების პირობებში ექსპლუატაციის დროს სხენებული უცხოური კონსტრუქციის გამძლეობა მათთვის უცნობია.

რადგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათთვის არაფერს მიუძღრთავს, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სხენებული კონსტრუქცია საქართველოში პირველად გამოიყენება, დამკვეთი ვალდებული იყო, შესაბამისი პროფილის სპეციალისტებისთვის მიემართა, რათა ამ კონსტრუქციის მიზანშეწონილობაზე მდინარე ვერეზე ექსპლუატაციის დროს მათგან დასტური მიეღო.

ჩვენს წინასწარი მონაცემებით, უცხოეთში დამზადებული რკინის კონსტრუქციის გამოყენება დაუშვებელია მთის მდინარის პირობებში, რადგან მისი არსებობა ეჭვქვეშ დააყენებს მასზე განთავსებული ბეტონის საავტომობილო მაგისტრალის მონაკვეთის მდგრადობასა და უსაფრთხო ექსპლუატაციას.

პროექტის ავტორი გვიცხადებს, რომ მისი ავტორისა და მშენებლის

ფსევდოდასოუნიკიდაბლობის რეალური შუქ-ჩრდილები

თავისი წიგნში – „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ – ზურაბ ავალიშვილი ყურადღებას ამახვილებდა ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციაზე და აივტის სიტყვებს იხსენებდა: „ვისურვებდი, რომ საქართველოს დაბრუნებოდეს ძველი ძლიერება; არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნების დახმარება, დამოუკიდებელი იყოს მშვიდობის და ომიანობისას...“

მეგრამ რასხან დროთა მდინარებით, ანდა ბედის ტრიალით, ეგებ ორივეს გამოც, ისე დაუფიქრდით, რომ სხეებს უნდა დაეფიქრებინათ, მე ყველაზე გონივრულად მიმანია, იმის ნებას დავეცეთ, ვინც უფრო ზომიერია და სამართლიანი და ვინც არასდროს დალატობს თავისი მოკავშირეების მეგობრობას“. გონიერი დიპლომატები ყოველთვის ითვალისწინებენ მსგავს მოსაზრებებს და პრაგმატულ-პოლიტიკურ სვლებს მიმართავენ ხოლმე. თავის დროზე ნიკო ნიკოლაძე ბრძნული დაკვირვებით აღნიშნავდა: „დღეს მსოფლიოში სამი დიდი სახელმწიფო არსებობს: დიდი ბრიტანეთი, აშშ და რუსეთი. ამ სამიდან დიდი ბრიტანეთია ყველაზე სუსტი... რუსეთის უპირატესობა ის არის, რომ მისი კოლონიები ერთი სხეულია... თუ რუსეთი ეკონომიკურ წარმატებაზე იზრუნებს, მაშინ იგი იცხოვრებს მეტოქის გარეშე და უშეშად. აშშ ბუნებრივად მდიდარი ქვეყანაა, ახალგაზრდა და თავისუფალი; მათი ღირსეულობა, ამერიკა – ამერიკელებისათვის“. მალე ისინი ევროპის ქვეყნებს ამერიკის კონტინენტიდან გააძევებენ... ერთი სიტყვით, ისტორიის მსვლელობა იმას მეტყველებს, რომ მე-20 საუკუნეში აშშ და რუსეთი იქნებიან კაცობრიობის მბრძანებლები“. 1894 წელს დაწერილი ეს სიტყვები დღესაც არ ჰკარგავს აქტუალობას. პირიქით, ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ისტორიის მიერ ჩვენთვის არაერთგზის ჩატარებული გაკვეთილების მნიშვნელობას და დაუთვინებელი ვასსწავლის, მზად ვიყოთ სწორი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევისათვის.

(ამონარიდები „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევებიდან“)

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ და ისტორიულ შეხედულებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. ილია მიუთითებს, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, მისი ისტორია ათასობით წელს ითვლება, ამ ხნის განმავლობაში ქართველებმა ხალხმა საუკუნეობით დაიცვა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ილია დანიტრესკებულის იმის გამოკვლევით, თუ რა მიზეზმა გააძეგინა ქართველ ხალხს ისტორიის მიუღი მანძილზე და რამ განასახლვრა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი და მისი დამოუკიდებლობის მოსპობა XVIII ს. ბოლოს. ილიას აზრით, ქვეყნის დაუძღვრების მიზეზთა შორის უნდა იქნეს დასახელებული: „იმამე გარეშე საპოლიტიკო ვითარება... მამა-მდიანი მომთაბარენი“, „ევროპულ ცხოვრებას მოწყვეტა“ და ბოლოს... ქვეყნის ეკონომიკური დაუძღვრება უსწორ-მასწორო მიწის ისტორიულ მფლობელობაში“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობას კარგავდა, მან მაინც მისაღები და გონივრული ნაბიჯი გადადგა, როცა სამხრეთის მტრული სახელმწიფოებისაგან თავის დაღწევის მიზნით „ნაბიჯი გადადგა რუსეთისაკენ“. „საქართველოს დამოუკიდებლობა სახელმწიფოთა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის თვითოფობით სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავის ვალი და ვახში არ დარჩენია... სასოება გადვიძებული მეფე და ერი გულწრფელად მიმდო თავისი მომავალი, რუსეთის მფარველობის იმედით ფრთაშესხმული“. ისტორიის ავებდობით დაშლილი და დანაწევრებული საქართველოს სახელმწიფოებრიობა, აღნიშნავს ილია, გაქრა და მოისპო, მაგრამ რუსეთის დიდ სახელმწიფოში იქმნებოდა შესაძლებლობა „ქართველობის მამულის აღდგენისა“.

ნიკო ნიკოლაძე არ იყო თავწამკვიდარი რადიკალი ეროვნულ საქითში, უფრო მეტიც, ის ამ მხრივ ზოგჯერ საოცარ კონსერვატივობას იჩენდა. მაგრამ მას ყოველთვის ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილებიდან გამომჟღავნდა სათანადო დასკვნები და თავის პოლიტიკურ მრწამსს დიპლომატიური სვლებით და არგუმენტებით ამავრებდა ეპოქის კვლობაზე. ამიტომ იყო, რომ იმ თავის ხელს არა მხოლოდ ეთიკის პოზიციებიდან ელაპარაკებოდა,

არამედ დიპლომატიისა და ნამდვილი პოლიტიკის ერთი.

ნიკოლაძის აზრით, თუ ოდესმე მომავალში საქართველო რუსეთს გამოეყოფოდა, ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ მშვიდობიანი გზით, იმპერიის მთავრობის თანხმობითა და ნება-სურვილითაც. „როგორც რუსეთის, აგრეთვე, ევროპის ხალხში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსანი და რაინდ ხალხად, იმისათვის, რომ პატივი-სცემის დირსია მოქალაქეობრივი პატიოსნების და გონიერებისათვის“.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, „ჩვენ არასდროს არ უნდა ვილაპარაკოთ პოლიტიკური რომანტიზმის ერთი, არამედ ვიყოთ პოლიტიკური რეალიზმის პატივისცემულები და შემფასებლები“.

„ჩვენ არ გამოვეციდებით, – წერდა იგი, – რუსეთის მთავრობისათვის, ისევე როგორც საქართველოსათვის საინტერესო საქითს, ეროვნულ მისწრაფებათა განვითარების საქითს: ჩვენი მდგომარეობა საუკეთესო საბუთია იმისა, რომ უარი ვთქვათ ამ განმარტებაზე, რომელსაც ადვილად შეიძლება მოჰყვეს ინსინუაცია. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ჩვენი აზრით, ამ იდეის განვითარებას შეუძლია, საკმაოდ დიდი ზიანი მიადგინოს ქართველი ხალხის მატერიალურსა და გონებრივ განვითარებას. ნურაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეუძლია, მიყვანოს საქართველო იმ სასაკლავოზე, სადაც ამას წინათ ტყავი გააძეგნა პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს და ჩრდილო კავკასიის მთიელებს... ეროვნული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს და საქართველომ საფრანგეთისა და ინგლისის მფარველობა მოიპოვოს... ჩვენი ქვეყანა საკმაოდ დიდი ხნით დაკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიტარებს გონიერი და სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების (შექმნის) ის საქითს, რომელიც მას ადევნებს. ნიკო ნიკოლაძის აზრით, შექმნილ სიტუაციაში საქართველო დასავლეთი ევროპის „მფარველობით“ ვერც ერთ მტკივნეულ საქითს ვერ გადააჭრის, ქართველი ხალხი ვერ მოიპოვებს სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებას. ასეთი თავისუფლება „აქვე, ჩვენივე თავში“ უნდა ვეძიოთ. რაკი ქართველ ხალხს ჯერ არ შეუძლია ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, იგი რუსეთის განახლების მოლოდინში, იმპერიის შემდაგენლობაში უნდა დარჩეს... ამ შემთხვევაში იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირე ან მფარველად ევროპა (აღარაფერს ვამბობ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებზეც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“.

სადღესოდ, თუ სამომავლო დიპლომატიისა და სტრატეგიის თვალსაზრისით, უადრესად ფასეულია ნიკო ნიკოლაძის შემდეგი მსჯელობა: „ქვეყნის პოლიტიკას, როგორც მისი ბუნების ნამდვილ ძალებს, ადამიანი, ხალხის სურვილით კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალი მოღურე შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენ ქეიფზე იყოს დამოკიდებული, არამედ ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განიბა, როგორც ენა, ერთგულება, სარწმუნოება... სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალის ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკარავს, აღმოსავლეთით – ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსი, ბევრი რომ ვიწრიალოთ, ამ პოლიტიკას ვერც ავცვლით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უადრესად გვირებს ბევრი ცდის ძებნისა და მსხვერპლის შემდეგ... უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დამეფიქროდათ? ჩვენზე ცოტათი სწავროდათ ვითომ და-დამოუკიდებლობა? საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ? საძებნი გზა ჩვენსაგან დახშული როდი ჰქონდათ: უფლებაც სისრულით ხელთ ეპყრათ, ვისთანაც უნდოდა საქმე დაეკავებინათ, კავშირი შეეკრათ. ბრძანებისამებრ მთელი ქვეყანა მიმოვლეს მათმა ელჩებმა, სამეფო არსად დარჩენიათ, რომელთანაც მოლაპარაკება არ გაემართათ, დაახლოება სახსენებლად არ ეცადათ. სანამ საბოლოოდ გზას დაადგებოდნენ, სანამ გვირგვინს ერის არსებობას შესწირავდნენ, ყოველი საშუალება სინჯეს,

ყოველი ღონისძიება იხმარეს, თვით სარწმუნოების შეცვლასაც შეჰპირდნენ რომის პაპს და ფრიდრიხ დიდს. უცრემლოდ ვერ გადაიკითხავს კაცი ამ სამი საუკუნის მეცადინეობის აღწერას მატეიანში. რაც ამდენს ამისთანა თაობას აუგია, აუცილებლად უცნიათ, იმას ერთი ჯგუფი, ერთი თაობა ვერ შეცვლის, სანამ ოსმალის, რუსისა ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასა ან მეფობა არ დაიჭერს საქართველოსათვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს. რა ძალამ და აუცილებლობამ ეს მდეგები (ჩვენი წარსულის მეფე-პოლიტიკოსები) გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს, მას ვერც ჩვენ მოვერევი... ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოდ და სასტიკად ისჯება“.

თითქოს ღრმა გულისტკივილი და უიმედობა მოსწანს ამ სტრიქონებში, მაგრამ ნიკო ნიკოლაძის შეხედულება მაინც პოლიტიკური რეალიზმს ემყარება. გლობალური თვალსაზრისით, მეტივე საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური წინასწარხედვა მომავალში რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ადგილისა და როლის შესახებ მსოფლიო მასშტაბით.

თერგდალეულთა ისტორიულ კონცეფციაში აკაკი წერეთლის ნააზრევი, ასევე, ორიგინალური და ყურადსაღებია. შეიძლება ჩვენს მსჯელობას აკაკიზე სახელმძღვანელოდ წარვუძღვაროთ მისი ზოგადპრაქტიკული და თეოლოგიური პოლიტიკურ-დიპლომატიური თვალსაზრისები. საქართველოს წარსულსა და აწმყოში არა ერთი შეცდომის გასწორებაში რომ წავგავდებოდა, აკაკის აზრით:

„მთელი ჩვენი ისტორიული გამოცდილება და თვით ისტორია დიპლომატიურად უნდა ვაქციოთ ახალ დროში... რაც უწინ შეგვეშალა და შეცდომა ენახეთ, ის აღარ გაიმეორეთ“.

აკაკი წერეთელი ხმარობს თავისი მსოფლმხედველობის სააზროვნო-პოლიტიკურ კატეგორიებს: „დროისა და ადგილის ვითარების“, რაც სხვაგან მრავალჯერ აქვს მოხსენიებული „დრო და ვითარების“, „დროთა ვითარების“, „დროის მოთხოვნილებების“, „სხვაგვარი გარემოების“, „ჩვენი ცხოვრების წყობილების“, „საზოგადო ნიადაგის“ ტერმინებით. მისი აზრით, „ადამიანი არის გაჩენილი ხტად და მსგავსად ღვთისა, თავისუფლად და არა მონად“... საერთოდ, ადამიანი, მისი გრძნობა-გონება, მთელი ცხოვრება დამოკიდებულია ადგილზე, დროსა და ვითარებაზე. „ყოველ საუკუნეს თავისი განსაკუთრებითი ჟამთავითარება უდგას და, მაშასადამე, საკუთარი მოთხოვნილებაც აქვს, რომლისაც გვერდის ახვევა შეუძლებელია“... ამასთან, „რასაც დღესაც ვმსჯელობთ, ის სხვად საკმარისი არ არის ხოლმე, ამიტომ ყოველივე დრო და ადგილის გარემოების შეფერებით უნდა კეთდებოდეს“.

აკაკის თქმით, XIX საუკუნის I ნახევრისათვის გამოხადვით საადგილმამულო ბანიკი შეიძლება გასრულდებოდეს აღმოსავლეთი იმავი საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსათვის, რადგან:

„ერთი პრუსიელი რომ დაკარგავდა ადგილ-მამულს, მეორე პრუსიელივე ყიდულობდა და მის ადგილს ჩადებოდა ხოლმე, ამით პრუსია საერთოდ არას ჰკარგავდა... მაგრამ პრუსიელების მაგიერ ფრანცუზები რომ ჩამდგარიყვნენ... კეთილდღეობაში ჩავარდებოდნენ პრუსიელები, თუ ირლანდიელთა და ინდოელთა მსგავსად გადატარდებოდნენ უცხო ქვეყნელთა მიერ მიწა-წყლის ჩამორთმევით“? „იგივე დაემართება ან დამართნია ქართველ ხალხს, თუ მისთვის შეუფერებელმა პოლიტიკამ მიწა-წყალი დააკარგინა,“ – დასძენს ა. წერეთელი.

აკაკის მართებელი განცხადებით, „ჭეშმარიტების გასაგებად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ავი საქმე კარგა ჰგავს შორიდან და კარგი ხანდაზანების ფერს იღებს. საჭიროა მათი დაკვირვება, რიგანი აწონვა, პოლიტიკური აღდგენისეგები ყველა ჭეშმარიტების პირველი ანაბანაა. ჭეშმარიტების და პოლიტიკის მეკლე ვარმა (მით უფრო მეტივე) მოვლენებს ყოველის მხრით უნდა შეხედოს, თორემ ერთის მხრით შეუძლებელია, რადგან ყველაფერი არც მარტო ბიჭიერებაა, არც მარტო უბიწოება“.

აკაკი წერეთელი პოლიტიკაში მომხრეა შეფარდებით და აბსოლუტური ჭეშმარიტების კავშირისა. „ნამდვილი ჭეშმარიტება არასოდეს არ ძველდება. ყოველივე იგივე ჭეშმარიტებაა, მხოლოდ მოჩვენებულ ჭე-

შმარიტებას ედება ხოლმე ბოლო დროთა განმავლობაში. ამასთან, ამ ქვეყანაში საშუალოდ არა არის რა“... იცვლება ბუნება, საზოგადოება, ადამიანი, მისი ცხოვრება, ისტორიული ვითარება, ქვეყნის გეოგრაფიული და პოლიტიკური წყობა. „ცოცხე ქვეყანაში შედგენილი რეცეპტი და იქ შეზავებული წამალი გამოსადეგი იქნება თუ არა ცხელი ქვეყნელებისათვის“. ამიტომ ხალხთა პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობის გარკვევისას მეტივე აუცილებელია, რომ კერძოდ „ჩვენი საქართველო სხვა რომელიმე ქვეყანასათვის გამოვლი არ იყოს, ის არის სხვადასხვა კუთხეებისაგან შეხამებულ-შეფერადებული, თვითოველ ამ კუთხეს თავისი საკუთარი ფერ-ხორცი აქვს, მათი ხალხი, თუმცა ტომით და ერთი ერთნი არიან... ამ სხვადასხვა კუთხეებს სხვადასხვა შემთხვევები ჰქონიათ და სხვადასხვა გავლენის ქვეშ ყოფილან ხოლმე...“

აკაკი აკაკი არ ეთანხმება იმათ, ვინც ფიქრობს, რომ „ერთ-ფერობა, ერთგვარობა და ერთხმოვანება აუცილებელი საჭიროება არის კეთილწარმატებისათვის“ და სამაგალითოდ კვლავ ახახელებს საქართველოს, რომელიც, მისი თქმით, „არის ჩონჩხი, რომლის სიმბეჭენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა და სხვ. თითოეულს ამათგანს თავისი საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოდ თავის თავს არც ერთს არ აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ. მართალია, ამ მხარეებს თავისი საკუთარი ფერი და სული აქვთ... მაგრამ სულს მოძრაობა მრავალგვარობის შეთანხმებით უფრო დიდებული და უფრო მჭიდროა. საგანი ერთია, თუმცა მასალა მარად სხვადასხვანაირი, უფრო ნამდვილი და ნაციონალური“.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა შორის თავისი ისტორიული და პოლიტიკური კონცეფციით ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს იაკობ გოგებაშვილს.

XVIII საუკუნის უკანასკნელი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ძალთა ჭიდილში იაკობ გოგებაშვილი გამარჯვებისა და მომავლის პერსპექტივას მაინც ქართულ ეროვნულ ფენომენში ეძებდა. იგი დაუთვინებლად მიუთითებდა ისტორიის ამ მონაკვეთში დაშვებული შეცდომების საბუღისწერო ხასიათზე საქართველოს შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. იაკობის აზრით, „ისტორიული ფაქტები გვიბანსუხებენ, რომ მთელი ერთი საქართველოსი, ყოველი მისი წოდება მეთვრამეტე საუკუნის დამლევს გრძნობდა ერთობის აუცილებელ საჭიროებას, მის დიდ სარგებლობას და მოწადინებული იყო, შეედგინა ერთი სახელმწიფო დადგენის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე შავი ზღვის კიდებამდის“. „ევროპას, – განაგრძობს იგი, – მეტივე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ის გარემოება, რომ გაუვალი კედელი, რომელიც ამართა საქართველოსა და ევროპის შუა ოსმალეთმა შავ ზღვაზე, შემუსვრილ იქნა რუსეთის მძლავრის ხელით და ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა ფართო განივ გზას საქართველოს ერის დაახლოებისთვის აყვავებულ ევროპის ერთა თანა. ეს კარგად ესმოდათ მაშინ ჩვენებს, კარგად ახსოვდათ ისიც, რომ უწინ, თამარ მეფის დროს, ერთობამ, ერთმთავრობამ საქართველო აღამაღლა“.

ამ მსჯელობის ლოგიკური გაგრძელებაა გოგებაშვილის ისტორიული ექსკურსი, რომელიც შეეხება 1790 წლის ცნობილ ისტორიულ ამბებს, როცა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მიწინავე ფეოდალ-არისტოკრატები, ერეკლესთან მოწვეულ დარბაზობაზე დაუთვინებლად მიითხოვდნენ საქართველოს გაერთიანებას. „ამ დესპანების მოსვლა, სახელმწიფო კრება ერეკლეს სასახლეში, ცხარე ბაასი და ხანგრძლივი სჯა მთელის საქართველოს შეერთება ისეთი შესანიშნავი ფაქტია ჩვენს ისტორიაში, ისე ცხადად გვიხატავს, ერთი მხრით, ჩვენის ერის გონიერებას და სახელმწიფო ჭკუას და, მეორე მხრით, სამეფო სახლის ფეოდალს, რომ საჭიროდ ვრცხვთ, დაწერილებით მოგახსენოთ ეს ამბავი მითხველსა“.

თემურ ქორიძე

სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკა ანალიზი!



პროექტში საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც მდინარე ვერეს გასწვრივ გადის, ეყრდნობა მრავალ ბურჯს; რომ უცხოეთში დამზადებული კონსტრუქციის დანიშნულებაა, მდინარე ვერე ამ კონსტრუქციაში „მოთავსდეს“ და მასში ჩაედინებოდეს მის ფერდობებზე განლაგებული საცხოვრებელი სახლების საკანალიზაციო სისტემებიდან გამოდინებული ფეკალური მასები, რომლებიც კომპლექსის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე დააბინიურებს არა მხოლოდ მდინარე ვერეს, არამედ მტკვარსაც, რადგან ჩვენთვის უცნობია, არსებული პროექტის მიხედვით, მდინარე ვერემდე ფეკალური მასები გაივლიან თუ არა გამწმენდ ნაგებობებს.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარე – დავით აბულაძე) ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორ დავით ავალიანს მრავალჯერ მოსთხოვა ამ პროექტის საჯარო განხილვა, რაც დღემდე არ მოხერხდა.

იქნება პარადოქსული სიტუაცია, როდესაც პროექტის ავტორი უცხადებს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს, რომ დამკვეთი უკრძალავს მას, მისი თანხმობის გარეშე გააცნოს საპროექტო დოკუმენტაცია. ამ დროს საქართველოს კანონი „საავტორო და მომხანავე უფლებების შესახებ“ კომპლექსის პროექტის მფლობელად, ანუ განმარტებულად აღიარებს მხოლოდ პროექტის ავტორთა ჯგუფს და არა – დამკვეთს.

სწორედ ამიტომ შესაძლებელია, რომ კომპლექსის პროექტის ავტორი სინამდვილეში სულაც არ არის შპს „საქზამცენიერება“, რომლის კოლექტივი, კულუარული საზღვრების დროს, კომპლექსის პროექტის შედგენაში მონაწილეობას უარყოფს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელობა, თუ გავითვალისწინებთ ამ ორგანიზაციის დებულებას, არ თვლის საჭიროდ, თუნდაც ოფიციალურად დააფიქსიროს თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ანუ წერილობით მისართოს მერის ხელმძღვანელობას.

უკვე რამდენიმე თვეა, კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. არ არის გამორიცხული, რომ დამკვეთმა ამ კომპლექსის გარკვეული ნაწილის ექსპლუატაციაში მიღების თარიღი „შუუკვეთოს“ და მშენებელიც დაამთხვევს ამა წლის მაისში დაგეგმილ დედაქალაქის მერის არჩევნებს. თბილისელებიც კიდევ ერთხელ მოიხიბლებიან.

რა არის ცნობილი კომპლექსის მშენებლობის ღირებულების შესახებ?

პროექტის ავტორი ამ კითხვას არ პასუხობს. მშენებლის განმარტებით კი დაიხარჯება თითქმის 90 მილიონი ლარი.

გნახოთ საავტომობილო გზების დარგის სპეციალისტების შეფასებები და გაანგარიშებები:

საქართველოში საავტომობილო ესტაკადის ერთი კვადრატული მეტრის მშენებლობის თვითღირებულება დღემდე არ აღემატებოდა 2,5 ათას ლარს. პროექტის ავტორისა და მშენებლის განმარტებით, კომპლექსის ესტაკადების მაქსიმალური სიგრძე არ აღემატება 500 მეტრს, ხოლო სიგანე 10-16 მეტრის ფარგლებში მერყეობს. კომპლექსის ესტაკადების ჯამური ფართობი არ აღემატება რვა ათას კვადრატულ მეტრს. შესაბამისად, ესტაკადების მშენებლობის ღირებულება 20 მილიონ ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ერთკილომეტრიანი ორრიგიანი ბეტონის საავტომობილო გზის მშენებლობის თვითღირებულება საქართველოში დღემდე არ აღემატებოდა ორ მილიონ ლარს. ე.ი. კომპლექსის ორრიგიანი ორი მიმართულების საავტომობილო გზის ჯამური სიგრძე არაუმეტეს 6 კილომეტრია. ეს ნიშნავს, რომ ამ გზის მშენებლობის ღირებულება 12 მილიონ ლარს არ სცილდება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროექტის ავტორი პროექტის შექმნაში საქართველოში იღებს მშენებლობის ღირებულების მაქსიმუმ 4-5%-ს, გამოდის, რომ პროექტის შექმნის ღირებულება არაუმეტეს 4,350 მილიონი ლარია.

ე. ი. უცხოეთიდან ჩამოტანილი რკინის კონსტრუქციის, მდინარე ვერეს გზის გასწვრივ არსებული ფერდობების გამწვანებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგების ჯამური ღირებულება (რასაც ითვალისწინებს პროექტის ავტორისა და მშენებლის განმარტებით არსებული პროექტი) უნდა მერყეობდეს 50-51 მილიონი ლარის ფარგლებში.

რამდენად დამაჯერებელია, რომ დამკვეთი კომპლექსის ესტაკადების, საავტომობილო გზის მშენებლობაზე და პროექტის შექმნაზე ჯამური გამოსახულებით იხდის თითქმის 1,5-ჯერ ნაკლებ თანხას, ვიდრე იმავე კომპლექსში გათვალისწინებული უცხოეთიდან ჩამოტანილი რკინის კონსტრუქციის, საკანალიზაციო სისტემისა და მდინარე ვერეს გასწვრივ არსებული ფერდობების გამწვანების ჯამურ ღირებულებაში?

ჩვენი შეფასებით კომპლექსის ღირებულება, რომელიც დაასახელა მშენებლობის ტენდერში მშენებელმა და რაზედაც დათანხმდა დამკვეთი, საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

სწორედ ამიტომ დასადგენია მდინარე ვერეს ფერდობების გამწვანებისა და საკანალიზაციო სისტემის შექმნის სრული ღირებულება საბაზრო ფასებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, გასარკვევია, უცხოეთში ხსენებული კონსტრუქციის შესაძენად (რომელიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, უკვე ჩამოტანილია), მისი ღირებულების საფასურს ვინ (დამკვეთი თუ მშენებელი) ვის ურიცხავს და თანხობრივად რას წარმოადგენს აღნიშნული საბანკო ოპერაცია. აგრეთვე, ეს თანხა ჩაირიცხა თუ არა პირდაპირ უცხოეთის იმ საწარმოს საბანკო ანგარიშზე, რომელმაც დაამზადა ეს კონსტრუქცია, თუ იგი სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშზე გადაირიცხა? იქნებ, ეს გვირავი საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, ნაწუქარია?

დასკვნის მაგიერ

საქართველოს კონტროლის პალატა და მთავარი პროკურატურა უნდა გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში, რათა კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ობიექტური სურათი დადგინდეს, რაც ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ემსახურება. სახეზეა დოკუმენტური მტკიცებულება, რომ ჩადენილია ორგანიზებული სისხლის სამართლის დანაშაული, რომლის „წამყვან“ ფიგურებს წარმოადგენენ ქ. თბილისის მერის გარკვეული თანამდებობების პირები, რომელთა ხელმძღვანელობა ქ. თბილისის მერი გიგი უგულავა.

თენგიზ ჩხიკვაძე, ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“.

ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სააკაშვილის რეჟიმისათვის პასუხის მოპოვებას არ აპირებს

ოპოზიციის ლიდერები გამოდგებიან საუბრობენ საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებზე – სააკაშვილმა იმდენი ცუდი გაუკეთა ქვეყანას, რომ ის აქ ცხოვრებას არ იმსახურებს და ქვეყნიდან გაძევების ღირსიაო. ლაპარაკი ერთია, საქმის გაკეთება კი – მეორე. „საქართველო და მსოფლიომ“ ოპოზიციის ლიდერებს შორის ჩაატარა გამოკითხვა, რათა გაერკვია, რა სასჯელს იმსახურებენ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი პირები. როგორც აღმოჩნდა, ტრბუნაზე მვეირალა ოპოზიციონერები განცხადებებში კატეგორიულობასა და სიმკაცრეს მხოლოდ აქციებზე და იმპროვიზებულ სცენებზე იჩენენ.

მეორე მხრივ, საინტერესოა, ოპოზიციის მუქარების ფონზე, სააკაშვილის მმართველობის დასრულებისა და რომელიმე ოპოზიციური პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ემინათ თუ არა ქართველ ჩინოვნიკებს მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების. ქართველ მოხელეებთან დაკავშირება არც თუ იოლი აღმოჩნდა, ჩვენს ზარს, მხოლოდ პარლამენტარმა ხათუნა ოჩიაურმა უპასუხა.

– თქვენ რომ ხელისუფლებაში მოხვიდეთ, რას მოიმოქმედებთ ვანო სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების მიმართ?

ირაკლი ბათიაშვილი, რესპუბლიკური პარტია: – მართალი ვითხრათ ამაზე არასდროს მიფიქრია. სააკაშვილმა, მერაბიშვილმა თარგამაძემ და მისნაირებმა რომ დაგვლუპეს ეს ფაქტია. ვფიქრობ, რომ თითოეულის საქმიანობა უნდა გადაიხედოს და, სისხლის სამართლებრივად რადიმენდაც დასჯადი იქნება, ისე უნდა მიესაჯოს. კანონის შესაბამისად უნდა მოხდეს ყველაფერი.

კახა კუკავა, კონსერვატორული პარტია:

– მე რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყო, ვანო მერაბიშვილს დავაპატიმრებდი; მის საქმეს სასამართლოს გადავცემდი და ჩადენილი დანაშაულებების შესაბამისად მიეუსჯიდი სასჯელს.

– როგორ დასჯილით მიხილ სააკაშვილს?

ნესტან კირთაძე, ლეიბორისტული პარტია: – სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ბოლო 6 წლის განმავლობაში იმდენი ცოდვა და უკანონობა ჩადინეს, მთელი ერთი საუკუნე გაჰყვება ჩვენს ქვეყანას. მიხილ სააკაშვილი მეტად როგორღა უნდა დასსჯოს? ჩემი აზრით, ის უკვე დასჯილია, არადეკავტურია, მას ყველა დასცინის. მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ადამიანების დასჯა ჩემი საქმე არ არის, ამაზე მე ვერ ვისაუბრებ, ეს უნდა გააკეთოს სამართლიანმა სასამართლომ.

ზურაბ ტყეშელაძე, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს:

– რასაც დამსახურებდა სამართლებრივად, იმას მიეუსჯიდი. პაერზე რომ ვილაპარაკო, ჩამოსახრჩობია თარგამაძე-მეთქი, არ იქნება სწორი. ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ თვითონ ასამართლებენ ადამიანებს. ჩვენ თუ მოვედით ხელისუფლების სათავეში, ამ შეცდომას არ გავიმეორებთ. დასჯა სასამართლოს პრეროგატივაა და ასეც უნდა იყოს.

დავით ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტია:

– სასამართლოს პრეროგატივაა ეს, როგორ დასჯიან მათ. თუმცა ვვარაუდობ, რომ სასამართლოს განაჩენი იქნება ძალიან მძიმე.

ბანუკი ქარდავა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია:

– არასერიოზულად მიმანია პოლიტიკური დაჭერები. მიუღებელია პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაპატიმრება. ზვალ რომ ხელისუფლებიდანაშაული აქვს ჩადენილი და, საერთოდ, კანონი დარღვეული, თუ ეს ჩემს კომპეტენციაში იქნებოდა, მათი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებდი, რადგან ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს ბევრი დანაშაულებრივი ქმედება აქვთ ჩადენილი.

თინა ხიდაშელი, რესპუბლიკური პარტია:

– ამას გადაწყვეტს მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანი სასამართლო. ჩვენ ყველანაირად ხელს შეუწყობთ, რომ სასამართლო მათი მარწუხებითა გათავისუფლდეს. ერთადერთი დასჯის ფორმა, რაც მსოფლიოშია მიღებული, ეს არის პატიმრობა; მაღლობა დემტოს, რომ ხელის მოჭრები და გილოტინები აღარ არსებობს. ასე რომ, მხოლოდ ერთადერთ სასჯელს ვხედავ და ეს არის მისი დაპატიმრება.

გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტია: – მიხილ სააკაშვილის ერთდერთი დასჯის გზა სამართლიანი სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება. ვინმეს დასჯა პოლიტიკური პირების გადასაწყვეტი არ არის.

გიორგი ცაგარეიშვილი, პარლამენტის წევრი: – ყველას კარგად ახსოვს, რასაც გივი თარგამაძე 7 ნოემბერს ლაპარაკობდა. როგორ უნდოდა სულის ამოხდა რუსთაველის გამზირზე მდგარი ოპოზიციისა და ქართველი ხალხისთვის. გივი თარგამაძემ (და არამარტო თარგამაძემ) უნდა აგოს პასუხი იმ დანაშაულებებისთვის, რაც ამ ქვეყანას მიაყენეს. ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერს ორი მხარე აქვს – მორალურ-ზნეობრივი და კანონიერი. თარგამაძეს, ბოკერიას, სააკაშვილსა და მისთანებს ქართველმა ხალხმა უკვე გამოუტანა განაჩენი. მე იურისტი ვარ და უდანაშაულობის პრეზუმფციას ვიცი. თუკი მათი ბრალეულობა დამტკიცდება, ისინი აუცილებლად აგებენ პასუხს.


ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე: – სააკაშვილს მიეუსჯიდი სამუდამო პატიმრობას, როგორც სახელმწიფოს მოღალატეს. ის უარესსაც იმსახურებს.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის წასვლის შემდეგ, ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს დაშვებული შეცდომების გამო არ მოთხოვენ, არ დაიჭერენ?

ხათუნა ოჩიაური, საქართველოს პარლამენტის წევრი: – მხედრობისა მოიყვანა შევარდნაძე და მერე თავად დაიწყო მათი დაჭერა, ეს კრიმინალური ბანდა იყო, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მხოლოდ ის ჩინოვნიკები დაიჭირეს, რომლებიც კორუფციულ გარემოებებში იყვნენ გარეუღნი. სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში კრიმინალური ვითარება გამოსწორდა. არ მეშინია, რატომ უნდა მეშინოდეს? საქართველოში თუკი ისეთი ხელისუფლება მოვიდა, რომლის დროსაც მე და ჩემნაირი ადამიანები დასაჭერები ვახდებოდა, საქართველოს მდგომარეობა იმ დროს ძალიან მძიმე იქნება, ასეთი ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების სათავეში კი დემოკრატიული არჩევნების გზით ვერასდროს ვერ მოვა.

მ. ნინიძე

სამეგრელო და სვანეთი



კორნელი ბოროზდინი
სამეგრელო
და
სვანეთი
1854-1861

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგვინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შეიღების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

ბარიატინსკიმ ჯარი გაგზავნა, ამ ჯარის უფროსობა მიანდო საქმის ვითარების გამოძიებლად დანიშნულს დუკრუასის, კაცს ფრიად განათლებულსა და პატიოსანს. დუკრუასიმ მინდობილობა მართლაც კარგად შეასრულა, - სამეგრელო ერთს თვეში ისე დამშვიდდა, რომ ერთის თოფის დაცვაც არ დასჭირვებია ვისმე. დუკრუასი თუმცა კანონის მომხრე იყო და უნდოდა დედოფლის უფლება არ დაემცირებინა, მაგრამ ისეთი უწყისობა შეამჩნია მართვა-გამგებობის საქმეში და ხალხი იმდენად შევიწროებულად და დაზარალებულად დაინახა, რომ გადასწყვიტა დედოფლისათვის მართვა-გამგებობის უფლება ჩამოერთმია, და მაშინვე ბარიატინსკის მოახსენა: სამეგრელო მანამ არ დამშვიდდება სანამ დედოფალი ეკატერინე აქაურობას არ გაეცლება. ბარიატინსკიმ კიდევ ამის შესახებ ხელმწიფის მოახსენა, და გადაწყვიტა იქნა, დედოფალი სამეგრელოდან პეტერბურგში გაეხიზნა და სანამ ნიკოლოზი სრულწლოვანი გახდებოდა, სამეგრელოს მართვა რუსის ადმინისტრაციისათვის მიენდო. დედოფალ ეკატერინეს შეარჩინეს მხოლოდ სახელი სამეგრელოს მმართველისა და მან, ამის შემდეგ, მცირეწლოვან შეიღების კერძო საკუთრების მზრუნველობა მიანდო იქაურს აზნაურს, ყიფიანს. სამეგრელოს მმართველად დანიშნეს გენერალ-მაიორი მიხეილ პეტრეს ძე კოლუბიაკინი, კაცი ფიცხი და მოუთმენელი, მაგრამ სინდისიერი და უადრესად პატიოსანი.

კოლუბიაკინმა ბარიატინსკის მოახსენა, რომ სამეგრელოს შემამულეთა და გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულებათ რუსეთის შემამულეთა და გლეხთა დამოკიდებულებებთან არავითარი მსგავსება აქვს. მაგრამ დედოფალი ცდილობს ეს რუსული წესები შემოიღოს აქო, დედოფლის ასეთი ცდა და მისი პირადი თვისება ერთადერთი მიზეზია ხალხის აჯანყებისა და, ესეც რომ არ იყოს, რა აზრი აქვს სამეგრელოში ბატონ-ყმობა შემოვიდოთ, როცა ეს ბატონ-ყმობა რუსეთში, საცაა, უნდა გადავარდესო!.

შემდეგ, კოლუბიაკინმა, თავის ხელქვეით მოხელეების, ბოროზდინისა და ოსტენ-საკენის, დახმარებით გლეხებისა და მემამულეების საქმე ისე დააყენა, რომ პირველის მეორეთ მხოლოდ დალას აძლევდნ მის სარგებლობისათვის. ეს იყო და ეს. გლეხებს ნება მიეცათ შეედგინათ სასოფლო საზოგადოებანი, თავიანთ შორის ამოერჩიათ მამასახლისები, სოფლის მოსამართლენი და ხარჯის აკრეფენი. სინდისის ქვეშ უნდა სთქვას კაცმა, სამეგრელოს მეკიდრნი თავის დღეში არა ყოფილან ისე ბედნიერნი, როგორც რუსების ხელში იყვნენ ამ ორი წლის განმავლობაში; თვით მეზობელ გურიის მცხოვრებლებმა ვრცელი დეპუტაცია გაუგზავნეს ქუთაისის გუბერნატორს ივანოვს, მმართველ-მოხელეებად ჩვენც რუსები დაგვინიშნეთ და არა ადგილობრივი თავად-აზნაურებიო.

„დედოფალი და ყიფიანი ვალდებულნი იყვნენ სამეგრელოს მართვა-გამგებობის საქმეში არ გარეუდოყვნენ, მაგრამ მაინც ხელს უშლიდნენ კოლუბიაკინის განკარგულებებს და მათს წინააღმდეგ მიდიოდნენ; ყიფიანი, როგორც მზრუნველი მთავრის მამულებისა და კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი, როცა სოფლებს იყიდა, სცვლიდა და სჯიდა სოფლის მამასახლისებს, მოსამართლეებს და ხარჯთამკრებებს და თავისით სხვას ნიშნავდა ამ თანამდებობებზე. იმ გლეხებს, ვისაც წინედ ხარკის ერთბაშად შეტანით ან რამე სამსახურით შემამულეთაგან თვი მქონდათ დახსნილი ყოველწლიურ გადასახადისაგან და საკუთრებად მამული შეეძინათ, დ. ყიფიანი იძულებულს ჰყოფდა სადაღიანო გლეხებად ჩაწერილიყვნენ თავის ნაყიდ მამულითურთ, იმიტომ რომ, ვახტანგის კანონის ძალით, რაც ეკლესიასა და თავად-აზნაურობას არ ეკუთვნოდა, მთავრის საკუთრებად ითვლებოდა. დედოფალი თხოულობდა აგრეთვე, რომ გლეხებს სხვა-და-სხვა სამსახურის მაგიერ თითო კომლის ერთ თუმნიდან სამ თუმნიმდე ეხადნა მთავრის ოჯახისათვის. რათა სავსებით გაითვალისწინოს ადამიანმა მთელი უსაფუძვლობა ასეთის ბრძანებისა საკმაოა იცოდეთ:

- 1) რომ ბუნებრივი ხარკი - ხარკი კი არ იყო, არამედ აღნიშნული იყო გლეხის მორჩილებისა თავისი ბატონის მიმართ და ეს სამსახური გლეხს მაშინ ემართა, როცა მის სოფელში მთავარი მოზამანდებოდა; მაგალითად, ერთი კომლი ვალდებული იყო მთავრის ცხენის კისერის მარჯვენა მხარე გაეწმინდა, მარცხენა მხარის გაწმინდა მეორე კომლს ემართა, მესამეს - ცხენის კუდი უნდა გაეშალა, მეოთხეს - უზანგი ჩამოეწია და სხვა;
- 2) რომ გლეხების უმრავლესობას ამ მხარეში, სადაც არც გზაა, არც რაიმე მრეწველობაა, თვალთაც არ უნახავს ამდენი ფული და რომ ნახოს კიდევცა, შეიძლება, ვერც კი მოახერხოს მისი დათვლა;
- 3) კანონმა რომ შეიწყნაროს ეს მოთხოვნილება სამზრუნველონი, რუსის ჯარი იძულებული გახდებოდა ძალით აასრულებინოს ხალხს და მაშინ ამ ხალხს ჭირივით უნდა შესძულდეს რუსის მთავრობა.

„კოლუბიაკინისა და დედოფლის ბრძოლის ბუდი სანამ ტფილისში სწყდებოდა, საქმე კარგად მიდიდა, მიუხედავად ბარიატინსკის არისტოკრატიზმისა და დიუკრუასის ლევიტიზმისა. ამათ ესმოდათ, რომ თუ დედოფალი არ ავლავდებოდა, სამეგრელოს მეკიდრნი ურჩ ერთა მხარისკენ გადავლენ და ეს საშიში იქნება, რადგან მეზობლად სამურზაყანოელნი და სავანბეი ჰყავთო. ამიტომ რაკი ყველა მოთხოვნილება დედოფლისა უსაფუძვლოდ იცნეს, ხოლო კოლუბიაკინის მოქმედებანი - კანონიერად, მთავარმართებლის საბჭომ ეს საქმე კავკასიის კომიტეტს გადასცა, რომ აქ ბუტკოვს განეხილა. ვლადიმერ პეტრეს ძე ბუტკოვი

ყველა ღამაზე ქალების მფარველად ითვლებოდა და დედოფალსაც არ დააკლო თავისი მფარველური ყურადღება. სანამ არავინ იცოდა, ბარიატინსკი მორჩებოდა, თუ არა, ბუტკოვს ემინოდა მის წინააღმდეგ წასვლისა, პირდაპირ არაფერსა სწყვეტდა და საქმე მთელი ორი წელიწადი აჭიანურა; მაგრამ როცა ექიმებმა გადაცვიტეს, ბარიატინსკი მიიმე ავადმყოფიო, ეს უკანასკნელი საზღვარგარედ წაიყვანეს. ამასობაში ბუტკოვმა გაიგო, დედოფალი სასახლეში და გაგვლინან პირებთან დაახლოებული შეიქმნაო, - მაშინათვე მის სასარგებლოს გადაწყვიტა საქმე. ყველა მოთხოვნილება დედოფლისა საფუძვლიანად იქმნენ ცნობილი. საკენი და ბოროზდინი სამეგრელოდან სხვაგან გადაიყვანეს, ხოლო კოლუბიაკინის ალაგზე დანიშნეს კავკასიაში თავისი უპატიოსნობით ცნობილი ჭელაშვილი, რომელიც ყიფიანს ნათესავადაცა ხვდებოდა.

„ძნელი წარმოსადგენია, - ათაგებს წერილის ავტორი, - რა რიგ აღაშვოთა ბუტკოვის საქციელმა კავკასიაში მომსახურე რეიანი პირები. არავისი სჯეროდა, თუ დედოფლის უსაფუძვლო მოთხოვნილებანი კავკასიის კომიტეტის მიერ საფუძვლიანად და კანონიერად იქმნებოდნენ ცნობილი და თუ სამეგრელო ისევე დედოფლისა და მისის მზრუნველის ყიფიანის მსხვერპლი გახდებოდა, და თუ რუსის სახელის შესარცხვენად ამ მხარეში უფროსობას ჭილაშვილს მიანდობდნენ. ახლა ბეგრნი ჰნანობენ თავად ბარიატინსკის წასვლას. მართალია, ნაკლუფეანება ჰქონდა, სწავლა-განათლება შესაძნელებად აკლდა, არისტოკრატიული ჩამომავლობით თავი მოჰქონდა, მაგრამ ბუტკოვს მაინც ისეთი სამარცხვინო საქმის ჩადენის ნებას არ მისცემდა და შეიძლება უბედურ სამეგრელოს ხალხისათვის ტანჯვა აეცდინა, ხოლო რუსის სახელი სირცხვილისაგან დაეფარნა.“

მე და კოლუბიაკინმა ამ წერილის ავტორის ვინაობა ვერ ვაგვიგეტო, ეტყობოდა კი, რომ, თუმცა ზოგიერთ წერილმანების აღწერაში სცდებოდა ავტორი, მაგრამ საზოგადო ვითარება ამ საქმისა კარგად ჰქონდა გაცნობილი, ისიცა სცოდნია, უმადლეს დაწესებულებაში რა აზრისანი იყვნენ ამ საქმის შესახებ. აგრეთვე ისიც ვეტყობოდა, რომ დამწერი პეტერბურგის მცხოვრები უნდა ყოფილიყო. ჩვენ კავკასიაში ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ეს საქმე ასე უკუდამ იყო დატრიალებული; ეს ამბავი მხოლოდ კარგა ხანს შემდეგ ვაგვიგეტო, როცა ტფილისში გახარებული ყიფიანი დაბრუნდა და მასთან ერთად მოვიდა სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული მოწერილობა მთავრის მამულის სამზრუნველო საქმის შესახებ, რომლითაც ყიფიანის მოთხოვნილება საფუძვლიანად იქმნა ცნობილი.

ამ დროს მთავარ-მართებლის თანამდებობას ასრულებდა გენერალ-ადიუტანტი თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, ხოლო სამოქალაქო სამმართველოს უფროსად იყო სტატს-სეკრეტარი ალექსი თეოდორეს ძე კრუხენშტერნი; უმაღლესად დამტკიცებული ქაღალდი რომ წაიკითხეს, ამათ უხერხულად სცნეს მისი ასრულება, სანამ თავადს ბარიატინსკის არ აწვენებდნენ, ამიტომ ეს ქაღალდი საგანგებო იფრინდას ხელით დრეზდენში გაგზავნეს ფელდმარშალთან. სანამ იფრინდა წავიდოდა, კრუხენშტერნმა მ. პ. კოლუბიაკინს შემოუთავა: ამ დოკუმენტთან ერთად თქვენი მოსაზრებაც გაუგზავნეთ ბარიატინსკისათვის. მე სწორედ ამ დროს ტფილისში ვიყავი, კოლუბიაკინთან ვცხოვრობდი და იმან მომიწვია ამ ქაღალდის შედგენაში დაგხმარებოდი, ასე რომ ამ საქმეში მის გათავაგობის დროსაც მივიღე მონაწილეობა. როცა ყველაფერი გამოვაწყეთ, იფრინდა ბარიატინსკისაკენ გასწავა. ტფილისში ეს ამბავი არავინ იცოდა, ამიტომ ყიფიანი გამარჯვებულის კაცის სახით დადიოდა და თან მოუთმენლობასაც იჩენდა, - სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ასრულებას ასე რატომ ავგვიანებდნენ?

ბარიატინსკიმ ეს ქაღალდი რომ მიიღო, ცეცხლს მიიკეთა. დარწმუნებული იყო, ხელმწიფე შეუცდენიათ და ისე დაუმტკიცებინებიათ ეს ქაღალდი, და მისს უდიდებულესობას წერილი მიწერა. შემდეგში ეს წერილი საქმეში იყო ჩაერეული და მეც მქონდა შემთხვევა წამეკითხნა. ძალიან ვწუხვარ, რომ მისი პირი არ გადმოვიღე; მშვენიერის რედაქცი-

ითა და ლოგიკით იყო დაწერილი, მთლად ფელდმარშალის კალამს ეკუთვნოდა. ეს ამბავი ამათ მითხრეს, ვინც მაშინ მასთან დრეზდენში დაახლოებული იყვნენ. მისი შინაარსი, რამდენადაც მასსოვს, შემდეგი იყო.

სახელმწიფო საბჭოს, როცა სამეგრელოს მთავრი სამზრუნველოს საქმეს სწყვეტავდა, ხელმწიფო, სახეში არა ჰქონდა ის მოსაზრებანი, რომელიცა გვექონდა მე და თქვენ, - ასე სწორად ფელდმარშალი ხელმწიფო იმპერატორის. - სახელმწიფო საბჭომ არ იცოდა, რომ სამთა, შავეისდვისპირა ნაპირას მდებარე, დამოუკიდებელ სამთავროთა გაუქმება თქვენმა უდიდებულესობამ პრინციპულად გადასწყვიტა კიდევ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათმა შინაურულმა წეს-წყობილებამ თავისი კალი გადგა, თავისი დრო მოსჭამა, მეორეც იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის ომის დროს ზოგი მათგანი მეტად ორპირულად იქცეოდა. ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭომ არ იცოდა. ამის შემდეგ მცხოვრებთა ინტერესები არ უნდა შევიწროოთ მთავრის ინტერესების ერთგულად დაცვამ ამ ორის წლის წინად სამეგრელოში ხალხი ააჯანყა. მზრუნველის ყიფიანის მოთხოვნილებანი ყველანი განვიხილე და მათი შესრულება შესაძლებლად ვგვარა ვცანი, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ მაინც ყველანი შეიწყნარა. ჩემს მოვალეობათა ვოფლი, თქვენს უდიდებულესობაზე გაგაფრთხილოთ, რომ თუ საქმე ამით გათავდა, ხალხი აჯანყდება და ადამისტრაციაც მეტად უხერხულ და სასიცოცხლო მდგომარეობაში ჩაყარდება.“

ხელმწიფომ ეს ქაღალდი რომ მიიღო, მაშინათვე მოიხმო ბუტკოვი და დიდი საყვედური უთხრა მთავარმართებლის აზრის წინააღმდეგ საქმის გადაწყვეტისათვის. ბუტკოვმა თითზე იკბინა, რადგან არ მოახსენა ხელმწიფო თავის მოქმედების განმართებლად. მაგრამ ხელმწიფომ მაინც ის კითხა: თუ გინდათ გაუფუძვლები საქმე გამოკეთოთ, წადით ახლავე და დაწერეთ საბჭოს დადგენილების გამოცვლის შესახებ.

ბუტკოვმა დრეზდენში გასწავა საჩქაროდ და ბარიატინსკიმ სამი დღე აცდენინა „ავად ვარ და არ შემოძლია მივიდოყო“. ის კი არა, ფელდმარშალს უნდოდა კარგად ეგრძობიებინა ბუტკოვისათვის თავისი შეცდომა და უტაქტობა. ბუტკოვი ბარიატინსკის „შენობით“ ელაპარაკებოდა. ბოლოს, როგორც იყო, შეუშვეს მის ოთახში. თავადი ფილიპი მწოლიარე დაუხვდა და ამბობენ, ამ სიტყვებით დაუწყო ღაპარაკიო:

„ნუ შვიქობთ, თავადო, რომ მე თქვენთვის სურვილისა და განზრახვების წინააღმდეგ შემოძლიან წავიდეს ამ შემთხვევაში მხოლოდ თქვენსაც საბჭოს წევრი ყიფიანის დამნაშავე. აბა რას მოვიფიქრებდი, თუ ის საქმეს თქვენის შეხედულების წინააღმდეგ წაიყვანდაო?“

ღაპარაკი ამ კოლოზე გააბეს და კაცად განტყვევისად ყიფიანი შეიქმნა, მთელი საქმე ბარიატინსკის სურვილისამებრ იქმნა გადაკეთებული, აგრეთვე იმ გვემით, რა გვემაც პირველში მ.პ. კოლუბიაკინმა წარმოადგინა. როცა ხელმწიფომ ბუტკოვისგან შეიტყო, თუ ვინ იყო დამნაშავე, ბრძანა-სამსახურიდან დათხოვნილ იქნასო.

ორმა თუ სამმა კვირამ რომ განვლო გახარებულის ყიფიანის ჩამოსვლის შემდეგ, ტფილისში მეორე დებულება მიიღეს სახელმწიფო საბჭოსი, უმაღლესად დამტკიცებული, და გრიგოლ ორბელიანის მოწერილობა მოუვიდა: დიმიტრი ყიფიანი მოიხმე და გამოუცხადე: ან თხოვნა შემოიტანოს სამსახურიდან გახვლის შესახებ, ან, თუ ეს არ არასრულს, სამსახურიდან დათხოვო. ყიფიანს ეს რომ გამოუცხადეს, თავის ნებთ სამსახურიდან გასვლა არ ინდოდა და დათხოვნილ იქნა.

და ამით, როგორც იქნა, საბოლოოდ გადასწყდა სამეგრელოს მთავრის მამულების საქმე. ეს მამულები იმნარადვე კერძო საკუთრებად იქნა აღიარებული, როგორც სხვა მემამულეთა მამულები და, გარდა ამისა, 6,000 სული აზნაურების გლეხები განთავისუფლებულ იქნენ მთავრის ბეგარისაგან, რათა დედოფალს ძალიან არა სწყენოდა საქმის ასე გადაწყვეტა, გულკეთილმა ხელმწიფომ სააზნაურო გლეხების ჩამორთმევის ბადალად წლიური 10,000 მანეთი იჯარა დაუნიშნა.

ქააში მკისა



ბუნებას საოცრად მკაცრი და ურყევი კანონი აქვს: თუკი არ თუხავ, ვერც იმი. ასეთია ცხოვრება, რასაც დასთეს, იმას მიიძი და ხარ ბედნიერი კაცი ჟამსა მკისას. თუ სამკელი უხვია და მიდიდარი, შენი ბედელიც პირთამდე ივსება.

ამ შეფასების ადრესატია თვალსაჩინო მეცნიერ-ისტორიკოსი, ორგანიზატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პედაგოგი, მკვლევარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ფარნაოზ ლომაშვილი, რომელიც ერთხმად აღიარა ქართულმა საზოგადოებამ. საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ, ეროვნულ აკადემიასთან არსებულმა ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიისა და პრობლემატიკის სამეცნიერო ცენტრმა (ხელმძღვანელი აკად. დავით მუსხელიშვილი) და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ (თავმჯდომარე პროფ. ნანა ხაზარაძე) მადლ დონეზე აღნიშნა ბატონ ფარნაოზ ლომაშვილის დაბადების 80 წელი.

ფარნაოზ ლომაშვილი დაიბადა 1929 წლის 1 (14) ოქტომბერს დაბა თიანეთში. მამა პროფესორი მკვლელი იყო, დედა – ლი-ასახელი. როგორც ბატონი ფარნაოზი აღნიშნავს, ლომაშვილების სტუმართმოყვარე ოჯახში თავს იყრიდნენ იმდროინდელი ცნობილი ადამიანები – პოეტები, სახალხო მოქმედები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მის აღზრდაზე. საშუალო სკოლაში მას ასწავლიდნენ ცნობილი პედაგოგები – რუსუდან გელოვანი, ვარა ხარანაული, მარი გონჯილაშვილი, გიორგი შუშანაშვილი და სხვები.

ფ. ლომაშვილი 1948 წელს ვერცხლის მედლით დაამთავრა თიანეთის მირზა გელოვანის სახელობის საშუალო სკოლა და უგამოდოდ ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკურ ფაკულტეტზე. მაღლე ეს გადავიდა ისტორიის ფაკულტეტზე. სადაც მადლი აკადემიური წარმატებისა და სანიშნო ყოფა-ცხოვრებისათვის იგი ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია დაიმსახურა. იგი არჩეული იქნა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ. 1953-56 წლებში სწავლობდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1957 წელს წარმატებით დაცვა საკანდიდატო, ხოლო 1971 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორმა ფ. ლომაშვილმა სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობის ხანგრძლივი გზა განვლო. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისის დიპლომატიურ აკადემიაში, თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტ „გაენათში“, თბილისის სასულიერო აკადემიაში, ეროვნულ ურთიერთობათა ინსტიტუტში, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი ნაწილი (1973-2006 წლები) მან გაატარა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, სადაც იყო სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, კავკასიის ხალხთა ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე-აგრეთვე, ისტორიის კვლევისა და სწავლების მეთოდოლო-

თა ლაბორატორიის ხელმძღვანელი. აქტიურად მონაწილეობდა საუნივერსიტეტო, საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში, უნარიანად ხელმძღვანელობდა ასპირანტთა და დოქტორანტთა მუშაობას. მის მოწვევითაა დაიწყო დოქტორის, ოცზე მეტმა კი კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. ასობით მისი მოწაფე ახლაც ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემებს მიუძღვნა 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 20 მონოგრაფია, 10 საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში მუშაობისას მონაწილეობდა საქართველოს, ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის კვლევაში.

XX საუკუნის 60-იან წლებში მწვავე დისკუსია განაღდა საბჭოთა კავშირის ხალხთა რევოლუციამდელი სამეურნეო და კულტურული განვითარების დონის საკითხებზე. ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, თითქოს შუა აზიის რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოსაც „**სამრეწველო კაპიტალიზმის**“ სტადია არ გაუვლია და პატრიარქალურ-ფეოდალური წყობილებიდან პირდაპირ სოციალისტურზე გადავიდა. საქართველოდან ამ დისკუსიაში მხოლოდ ფ. ლომაშვილი ჩაება და ისტორიკოსთა ამ ჯგუფის პოზიციის სრული უსაფუძვლობა დაასაბუთა. ჟურნალ „**ზ**“-ის რედაქცია იძულებული გახდა ამ დისკუსიაში ფ. ლომაშვილის „**დამაჯერებელი გამარჯვება**“ ელარებინა.

70-იან წლებში დისკუსიამ საქართველოში გადმოიხაცვლა. ერთი ამტკიცებდნენ, თითქოს ბატონ-ყმობის გაუქმებამდე საქართველოში თვით „**კაპიტალისტური წყობაც**“ კი არ ჩასახულა, სხვებს კი ეს მოუვლენა XI-XII საუკუნეებში გადაქონდათ. ნაშრომში – „**საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისათვის**“ – ფ. ლომაშვილი ორივე უკიდურესობა უარყო და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ საქართველომ გაიარა სამრეწველო კაპიტალიზმის სტადია და წინ უსწრებდა შუა აზიის რესპუბლიკებს, თუმცა ჩამორჩებოდა რუსეთის იმპერიის შიდა რეგიონებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში შესამჩნევი წვლილი იყო ფ. ლომაშვილის სადოქტორო დისერტაცია – „**კულაკების, როგორც კლასის ლიკვიდაცია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში**“, რომელიც რუსულ ენაზე მთლიანად გამოიცა და საქართველოს ფარგლებს გარეთაც გავრცელდა.

ფ. ლომაშვილის აზრით, მაშინდელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ თავისებურებებთან მთავარი იყო ის აშკარა ანტისაბჭოური განწყობილება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში ჯერ კიდევ არსებობდა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათაგან კი მთავარი იყო ამ რესპუბლიკებში (უპირველეს ყოვლისა საქართველოში) მრავალწლიანი ნარკავების (ვენახი, ხეილი და სხვა) სიჭარბე, რაც გლეხობის კერძო-მესაკუთრული მისწრაფებების განსაკუთრებულ სიმტკიცეს განაპირობებდა და კოლექტივიზაციის პროცესს აფერხებდა.

ფ. ლომაშვილის ნაშრომებმა აგრარულ საკითხებზე რუსეთის წამყვანი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. რაც მთავარია, მათ ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების „**დიდი თავისებურება**“ აღიარეს. „**სოციალ-ეკონომიკური განვითარების დიდი თავისებურებით გამოირჩეოდა ამიერკავკასიის სოფელი, –** წერდა პროფ. ვ. ი. პოგუდინი თავის „**ისტორიოგრაფიულ ნარკვევში**“, – რაც სოციალისტური მშენებლობის დაბად ტემპებს განაპირობებდა.

მოსაზრება საქართველოსა და ამიერკავკასიაში აგრარულ-ისტორიული განვითარების თავისებურებაზე, რაც ამ რეგიონში სოციალისტურ მშენებლობას აფერხებდა, გატარებულია აგრეთვე „**სკკპ ისტორიის**“ მრავალტომეული მეთოთხე ტომის მეორე წიგნშიც, რომელიც 1971 წელს გამოვიდა და რომლის ერთადერთი თანაავტორი ამიერკავკასიიდან ფ. ლომაშვილია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფ. ლომაშვილის დამსახურება ილია ჭავჭავაძის და სხვა თერგდალეულთა მოღვაწეობისა და

მემკვიდრეობის შესწავლაში. მან მოსკოვისა და პეტერბურგის საისტორიო არქივებში აღმოაჩინა ახალი დოკუმენტები, რომელთა ნაწილი კრებულ „**საისტორიო მთაბის**“ 1983 და 1985 წლების ნომრებში გამოქვეყნდა. ამ დოკუმენტების საფუძველზე საბოლოოდ დადგინდა არა მარტო ილია ჭავჭავაძეზე „**ოხრანის**“ ფარული მეთვალყურეობის დაწესების ნამდვილი მიზეზები, არამედ, ისიც, რომ დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში გარკვეული დროით, ე.ი. სრულ განთავისუფლებამდე, საქართველოს ავტონომიის მიზანშეწონილობის აღიარებამდე ილია მისულა არა 1905 წლის რევოლუციის დროს, არამედ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ჟანდარმერიის 1882 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში აღინიშნა, რომ ილია ჭავჭავაძე მეთაურობს ქართველ „**ლიბერალთა**“ იმ ჯგუფს, რომელსაც სურს „**იმპერიის ფარგლებში ავტონომია მოიპოვოს და ქართულ პარლამენტზე იცნებოს**“.

ფ. ლომაშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ორ ძირითად ეტაპად განიხილავდა. პირველ ეტაპზე საქართველოს თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენა იმპერიის ფარგლებში ავტონომიის მოპოვებით უნდა დაეწყო, მეორე ეტაპი სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევით უნდა დაეკვირვებინა.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ფ. ლომაშვილის მოსაზრებას „**თერგდალეულთა**“ რიგებში სერიოზული უთანხმოების არსებობის შესახებ, რასაც ჩვენი ისტორიოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში უსაფუძვლოდ ჩქმალავდა. სინამდვილეში „**თერგდალეულთა დიდი ხუთეულიდან**“ სამი (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი) სოციალიზმისკენ იხრებოდა მაშინ, როცა ილიას და აკაკის არც გლეხურ-ხალხოსური და არც მარქსისტული სოციალიზმი არასოდეს არ გაუხიარებიათ.

ახალი დოკუმენტების საფუძველზე ფ. ლომაშვილის მიერ დაწერილი სტატიებიდან აღსანიშნავია წერილი „**ფრთხილად, ეს ილია!**“, რომელიც გახუთ „**საქართველოს რესპუბლიკაში**“ გამოქვეყნდა. ავტორმა ცხადყო, რომ აუცილებელია გადაჭრით უარყოთ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს გახუთ „**ივერიაში**“ ხელმწიფრად გამოქვეყნებული ყველა მოწინავე სტატია ილიას ეკუთვნის. დოკუმენტურად მტკიცდება, რომ ხშირად ილია თბილისში იყო და თვით საქართველოშიც კი არ იმყოფებოდა, ამით ეჭვქვეშ დგება ილიას ავტორიულის 20-ტომეულიად გადაქცევის მცდელობა, რაც სამწუხაროდ დღესაც გრძელდება.

ფ. ლომაშვილმა განსაკუთრებული ღვაწლი მანინ საშუალო სკოლების იმ სახელმძღვანელოთა შექმნას დასდო, რომლებიც თავისუფალი საბჭოური იდეოლოგიური დოკუმენტებისაგან. 16 წლის განმავლობაში (1990-2006წწ) ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე რეგულარულად გამოდიოდა მისი სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიაში მე-9, მე-10, 11-ე კლასებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სახელმძღვანელოთა შექმნა და სრულყოფა ხორციელდებოდა თვით ფ. ლომაშვილის მიერ შედგენილი ახალი სახელმწიფო სტანდარტებისა და სასწავლო გეგმების საფუძველზე, რაც ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა გამოყენება-განზოგადებასთან ერთად, აქტიურ და შრომატევად სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც მოითხოვდა.

ბატონი ფ. ლომაშვილი ხშირად არ ერიდებოდა მეზობელი ქვეყნების ჩვენს საშინაო საქმეებში თავისეული ჩარევის მიხედვასა და მკაცრად გაკრიტიკებას, რაც გარკვეულწილად სასკოლო ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების საკითხებს შეეხებოდა. ამ წერილის ერთ-ერთი ავტორი პირადადაა მოწვე, თუ რა ბრძოლები აქვს გადატანილი ბატონ ფარნაოზს სასკოლო სტანდარტების ობიექტურობის სრული დაცვით შექმნის პროცესში.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ბოლო 20 წელი ფ. ლომაშვილმა „**ისტორიის ფილოსოფიის ისტორიის**“ სამტომეულის შექმნას შეაღია. ეს ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც 2000-ზე მეტ გვერდს შეიცავს, დაწერილია ისტორიისა და ფილოსოფიის მიჯნაზე და ორივე მეცნიერების მიღწევის ითვალისწინებს. ასეთი ნაშრომი არა მარტო საქართველოში და მთელ პოსტსაბჭოურ

სივრცეში, არამედ მსოფლიოშიც პირველად იქმნება. ამიტომ შესაძლოა ის ნაკლოვანებისგანაც არ იყოს დაზღვეული, მაგრამ უკვე გამოქვეყნებული 2 ტომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ბევრ სიახლეს შეიცავს „**ჩვენთვის – ქართველი ფილოსოფოსებისათვის** – ნათქვამია საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიმართვაში – **განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თქვენს წვლილს ისტორიის ფილოსოფიის ისტორიის დარგში. თქვენ შექმენით ეს ახალი დარგი ქართული ფილოსოფიის ისტორიის სფეროში და გააკეთეთ ის, რაც სამწუხაროდ ჩვენმა ფილოსოფიის ისტორიკოსებმა ვერ გააკეთეს**“.

გულმხურვალე მამულიშვილს ჭკუ-მარიტებისათვის თვალის არიდება არ შეუძლია. ის სათანადო ფაქტებისა და არგუმენტების მოშველიებით ასაბუთებს, რომ ცალკეული ისტორიულ-ფილოსოფიური ელემენტები და დებულებები თავდაპირველად თვით ისტორიის წიაღში ვითარდებოდა. ავტორი გაბედულად უარყოფს ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულ იმ აზრს, რომ საისტორიო პროვიდენციალიზმი ქრისტიანული შუა საუკუნეთა ქმნილებაა, ხოლო მისი ფუძემდებელი V საუკუნის ქრისტიანი მოღვაწე ნეტარი ავგუსტინეა. ბატონი ფარნაოზი ასაბუთებს, რომ ქრისტიანობამ პროვიდენციალიზმი კი არ დააფუძნა, არამედ, ადამიანის ნების თავისუფლების დაშვებით, ის საგრძობლად შეარყია, რომ ქრისტიანულ მონოთეისტურ პროვიდენციალიზმამდე ძველადმოსავლურ და ანტიკურ სამყაროში უკვე არსებობდა პოლითეისტური პროვიდენციალიზმი, რომელიც გაცილებით მკაცრი ფაქტობრივი სახისათვის იყო.

მუდამ მშვიდი, მოკრძალებული და ღიწვად მოსაუბრე ფარნაოზ ლომაშვილი სხვას ყოველთვის უსმენს და თავად ყველასაგან მშენას არ მოითხოვს. ეკუთვნის იმ ადამიანთა პლეადას, რომელთაც მხოლოდ პატიოსნად და ოფლის ღვრით უცხოვრობათ. მისი დამახასიათებელი თვისებებია: მოშიბილველი უშუალობა, სულგრძელობა, მიმტკეველობა. მხოლოდ ერთს არავის პატიობს – ეს არის ისტორიის გაყვალბება, სიცრურე და ორპირობა. ერთი სიტყვით, ბატონი ფარნაოზი მაღალი ზნეობის ნიმუშია. ამიტომ, არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებაში, დიდი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს.

ბატონი ფარნაოზის მეუღლე – ქალბატონი ქეთევან ლომაშვილი არის აღიარებული სპეციალისტი, რომელიც დიდხანს ხელმძღვანელობდა გამომცემლობა „**განათლების**“ რუსული რედაქციის განყოფილებას. მათ ჰყავთ ორი შვილი – ქალიშვილი პროფესორი ბიოლოგია, ვაჟიშვილი კი – მხატვარი. ოჯახს ამშვენებს სამი შვილიშვილი და ორი ძმა: ჯიბო – ისტორიის პროფესორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწეა, ანზორი – მეტალურგიის პროფესორი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ამრიგად, ერთმა ოჯახმა სამშობლოს სამი გამორჩენილი ადამიანი მისცა.

ჩვენ სიტყვით გვეძინებოდა იმის გამოთქმა, რაც ამ დაუღალავ მეცნიერს საქმით უკეთებია. მის მიერ შესრულებული საქმეების ჩამოთვლით ვეძიებოდით და განსხვავებებთ იმას, რაც მას ამოქმედებდა, რათა მეცნიერული კვლევა-ძიების ძნელი ბილიკებიდან ჭკუშმარტების ფართო გზაზე გამოსულიყო. ბატონ ფარნაოზს მეცნიერების ნარკველიან გზაზე ქართული ხალხის დიდი სიყვარული ამოძრავებდა. დღეს ის, 80 წლის ასაკში, მეცნიერული შემოქმედების მწვერვალზე იმყოფება, რაც მან მთელი თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული დიდებული ნაშრომებით დაამტკიცა.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთულ, მაგრამ საინტერესო გზას ირჩევენ. სწორედ ასეთი ადამიანია თვალსაჩინო მეცნიერი და გულმხურვალე პატრიოტი ბატონი ფარნაოზ ლომაშვილი, რომელიც, სრულიად საქართველოს სიყვარულისა და პატივისცემის სახით, დღეს, უხვად იძვის თავისი მუხლანუხრელი შრომით მოწვეულ ინტელექტუალურ ჭირნახულს.

კლიმენტი შელია, აკადემიკოსი, ლევან ჩიქენაია, აკადემიკოსი, ოთარ ქაჯაია, პროფესორი, გიორგი ცაავა, აკადემიკოსი

ახალი დიდნიშნელოვანი აღმორჩენი კვლევი კოლხეთის ისტორიის საკითხებზე

ვაგრძელებთ ქართველი მეცნიერების, პროფესორების ჯემალ ჯინჯიხაძის, იაკობ ახუაშვილისა და იოსებ კაპანაძის წერილის ბეჭდვას,

2007-08 წლებში (ტირაჟის ბეჭდვა გრძელდება) გამოვიდა პროფესორების მანტი ძაძაძიას, ცირა ძაძაძიას და ვლადიმერ ვახანიას (რომელიც ამჟამად ხელისუფლებას დილეგში ჰყავს გამომწვევადელი – “ილორი”) შვიდი ტომი “მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოვანობა”, რომლის ავტორები ამტკიცებენ, რომ მეგრული ლექსიკა – სიტყვაწარმოვანი მარაგი 100 მილიონზე მეტია. ეს ფაქტები დაუჯერებელს გაგვს, მაგრამ იგი რეალურია.

ენათმეცნიერებს მიანდათ, რომ ენის წარმოშობის საკითხის კვლევა უშედეგოა, რომ ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებელია. საბედნიეროდ, შეიდგომეულის ავტორები ამ პრობლემას წარმატებით წყვეტენ.

მაგრამ ქართველ მეცნიერთა “მამები” აღნიშნულ შეიდგომეულს შეგნებულად “არ ამჩნევენ”, ცდილობენ ხმა არ ამოიღონ და ამით მხარი დაუჭირონ აღნიშნული ნაწარმოების გააფთრებულ მოწინააღმდეგეებს.

2004 წელს გამოვიდა კონა კოლხის 600-გვერდიანი წიგნი “მეგლი კოლხური ენის საიდუმლოებანი”, რომლის ავტორი საქართველოს ეროვნული აკადემიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობიდან კატეგორიულად თხოულობს წიგნს შეფასება მისცენ, მაგრამ ხმას არავენ იღებს (“ილორის” შემდეგ ნომრებში მოგაწვდით რეცენზიას ამ წიგნზე და ნაწვევებსაც).

ასეთივე მდგომარეობაა ცნობილი ქართველი მეცნიერების, აკადემიკოს ბატონ ანზორ შინაის მრავალრიცხოვანი შრომების, აგრეთვე ქალბატონ ნათელა ფოფხაძის, ბადა სოფიას, შურიაზ ჯანჯღავას, ივანე (ვანო) მეგრელის, გამომჩენილი მეცნიერის ოთარ ქაჯაიას და სხვათა ნაშრომების მიმართ.

კლიმენტი შელია წერს, რომ აღნიშნულ ავტორთა შრომები, და ამ შრომებში მოცემული დებულებები, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, დღეს თუ ხვალ მაინც ფართოდ გაიკავავს გზას მეცნიერებაში და მათ საერთაშორისო აღიარებას ვერანაირი საწინააღმდეგო ძალა ვერ შეაჩერებს.

ასევე ბატონ კლიმენტი შელიას ნაშრომებიც, მის მიერ გაკეთებული ფრიად დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები, დასკვნები და განზოგადოებანი აუცილებლად იპოვნის საზოგადოებრივ აღიარებას. როდესმე, მომავალში, რომელიმე ქართველი პატრიოტი ბიზნესმენი საკუთარი სახსრებით თარგმნის ამ შრომებს და გამოსცემს უცხოურ ენებზე, მაშინ მსოფლიო დანახავს ძველი კოლხეთის მსოფლიო ისტორიულ დამსახურებას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, როგორც ბატონი კლიმენტი შელია წერს, – უძველეს დროში ლაზ-მეგრელებს “ეფუთი” ჰქონდათ, რომელიც დაკარგულად ითვლება. “ეფუთი” არის ისტორიულ ხანაში შექმნილი საკაცობრიო მნიშვნელობის ნამოღვაწრების, ე.ი. შედეგების წიგნის სახელი, იგივე “სიბრძნის კრებულა”. ჩანს, რომ “ეფუთი” არის ამერიკელების მიერ მოკვლეული “ანუნაკი”, რომელმაც ყველაფერი “იცის” სამყაროს წარსულზე და მომავალზე. გარდა ამისა, უძველეს დროში მეგრელებს ტყეში “ყავდათ” “ტყაში მაფა” – “ტყის მაფა” – “მზე” (ქალი) და “ოჩო კოჩი”, რომლებიც უძველესი იყვნენ და რომლებიც “წესრიგს ამყარებდნენ” არა მარტო ტყეში, არამედ იმ არე-მარეში.

ისტორიულ წყაროებში ცნობილია, რომ 1722 წლის 6 აპრილს პოლანდიელმა მეზღვაურმა, აღმირალმა როგვენმა აღმოაჩინა ყველა კონტინენტიდან დაშორებული პატარა კუნძული, რომელსაც ადღაგომის კუნძული უწოდეს.

სახელგანთქმულმა ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა დიდი ექსპედიციით, 1955-1956 წლებში, იმოგზაურა აღნიშნულ კუნძულზე. ექსპედიციის წევრებს მიზნად ჰქონდათ დასახული გაერკვირათ, თუ ვინ იყვნენ კუნძულის თავდაპირველი მოსახლენი, ვინ შექმნა გრანდიოზული ქვის ქანდაკებები, შორეული წარსულის უცნობი კულტურა და სხვა. შემდეგ ჰეიერდალმა გამოაქვეყნა შესანიშნავი წიგნი: “ადღაგომის კუნძულის საიდუმლოება”,

რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი, მათ შორის, წართულ ენაზეც.

ექსპედიციამ გამოიკვლია და აღწერა 400-ზე მეტი გოლიათური ქვის ქანდაკებები, რომლებიც ქვის უზარმაზარ პედესტალებზე იდგნენ. ქანდაკებების სიმაღლე 8-10 მეტრს აღწევდა, ყველაზე დიდი ფიგურის სიმაღლე 22 მეტრს უდრიდა.

კუნძულის პირველი აღმოჩენები და მცხოვრებლები იყვნენ ხოტუ მატუა და მისი თანამგზავრები. პირველი მეფეც (ხოტუ) მატუა იყო. მასზე კუნძულის მცხოვრებლები სიყვარულითა და მოწიწებით ლაპარაკობენ.

კლიმენტი შელიას მოჰყავს ტურ ჰეიერდალი სიტყვები: ხალხს, რომელსაც ჯერ თავი არ გამოეჩინა კულტურის სხვა სფეროებში, როგორ მოხდა, რომ მოეცა ესოდენ კენიალური ინჟინრები და უნიჭიერესი მხატვრები? როგორ შეძლეს ქვის ერთიანი მონოლითების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, აღმართზე ატანა და აღმართვა, როცა არ იყო ამწეები, მანქანები? კუნძულზე კი ტყე არ არის. მთაზე დამკვიდრებული ქვის გოლიათის სხეულზე, მუცელზე, სახეზე ასვლა ძნელია, შეიძლება თავისუფლად გაისეირნო ან წამოწევი მის ცხვირზე. გოლიათის თავზე ადგამდნენ ცილინდრის ფორმის განსხვავებულ მოწითალო ქუდს, რომლის წონა ორი-დასამდე ტინამდე აღწევდა და რომელსაც პუკაო ერქვა – ორი ნამოწვებული წვერით. ეს თავსაბური მეგრული ყაბაღახია.

ტურ ჰეიერდალი ამბობს: “კუნძულზე მიწაში მდებარე საგნები საოცრად მოგვაგონებდა ინკების წინაღობის დღეები პერიოდის კოლონას – ქანდაკებებს, რომლებიც ინკებში გვხვდება” – ეს იმიტომ, რომ ინკებში, აცტეკებში და მაიას ტომებში ცივილიზაცია შეიტანეს იბერია-მეგრული ხალხის წარმომადგენლებმა, – წერს კლიმენტი შელია.

როდესაც ესპანელმა კონკისტადორებმა პერუში აღმოაჩინეს ინკების სამეფო, მათ ნახეს, რომ ფერადკანიანი და დაბალი ტანის ინდიელებს შორის ცხოვრობდნენ ინკებზე გაბატონებული მოდგმა, რომლებიც იყვნენ ტანმაღალი, თეთრკანიანი, წვერებიანი (ინდიელებს წვერი არა აქვთ) ადამიანები, რომელთა თაოსნობით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები; იბერთა პროექტებით იქმნებოდა გეგანტური ნაგებობები, ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. ინდიელმა აბორიგენებმა ისწავლეს მიწათმოქმედების წესი, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობა.

მკვლევარი რევაზ ერისთავი წიგნში “ზნის შვილები” წერს: “ჩვენი პლანეტის უძველესი ცივილიზაციის ბერძენსა საქართველოში დგას და მის განშტოებულ ფესვებზეა ყლორტებზე ადმოყვანებული: შუამდინარეთის, ეგვიპტის, საბერძნეთის, ინდის ველის, ტიბეტის, ამერიკის და სხვათა კულტურები... რომ უსსოვარი დროიდან ველურმა ტომებმა იცოდნენ, რომ ეს თეთრი ადამიანები მოვიდნენ მზიდან, შეუცნობელი საოცრებით აღსავსენი და დაუცხეს ქვეყნად მშვიდობა, სიკეთე და სიმართლეს” (გვ. 80-81).

რევაზ ერისთავი ხაზგასმით მიუთითებს: “ჩვენ გვეჯერა, რომ მალე დადგება ისეთი დრო, როდესაც ქართული ენისა და ანბანის არამწიფი წარმომავლობის შესახებ მსოფლიო ალაპარაკება და მისი მისტიკურ (ასტრალურ) ოჯახში შემავალი მეგრულ-ლაზური (ჭანური) და სვანური ენები ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევიან”.

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა ინგლისელმა მოგზაურმა და მეცნიერმა ტიმ სევერინმა მთელ მსოფლიოს გააგებინა, რომ 1984 წლის ზაფხულში დაგეგმილი აქვს, ნიშიან-იალქნიანი ხომალდით, ქალაქებს იოლკოსსა და ფაზის შორის არგონავტების ლეგენდარული გზის განმეორება. ეს იქნებოდა უძველესი ქართული (კოლხური) კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო პროპაგანდა.

ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება რომ ჩაემალათ ან გაეფუგურებინათ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა (ყოველდღე მეგრულია და ყოველი ნრომალური მეგრელის პათოლოგიურად მოძულე –

“ილორი”) ედუარდ შევარდნაძემ ლონდონში სასწრაფოდ მიაგვლინა საქართველოს ტელერადიოკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე, რომელსაც უთხოვია ტიმ სევერინისათვის – შეეცვალა თავისი გეგმა და მარშრუტის უკანაკსნელ წერტილად მოესენებინა არა ფაზისი, არამედ, უბრალოდ, საქართველო. ამაზე ფოფხაძეს სევერინისაგან კატეგორიული უარი მიუღია. მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მრავალ სხვა ღონისძიებასაც მიმართა, მათ შორის ფაზისში (ფოთში) გამოაგზავნა საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური, რომელმაც მაშინ მხარი დაუჭირა ღონისძიების ნორმალურად ჩატარებას.

ამრიგად, აღნიშნული ღონისძიების ჩაშლა ედუარდ შევარდნაძემ და მისმა ხროვამ ვერ მოახერხა. ტიმ სევერინის დადლილმა მენიბეებმა, ბოლო დამე, მდინარე სუფსის ტრავერსზე, ღია ზღვაში გაათენეს – რაც იყო ყველაზე არაქართული და არასტუმართმოყვრული, თვით დანაშაულებრივი საქციელიც კი. საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ, მისმა თავაკაცმა ედუარდ შევარდნაძემ, კატეგორიულად აკრძალა ფაზისის აკადემიის სხდომა, აღმაშფოთებელი იყო თავად ის ფაქტიც, რომ ფოთელებს ცერემონიალისთვის რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ნაპირიდან უნდა ედევნებინათ თვითი. ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ბაკურ გულუას კუთხურ ნაციონალიზმშიც დებდნენ ბრალს.

ბაკურ გულია წერს: “ყველა ამ სიბინძურის სათავეში იდგა არა რომელიმე მეცნიერი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი, ისტორიკოსი, არამედ პოლიტიკოსი, და არა იმპერიის ცენტრიდან, მოსკოვიდან, არამედ მშობლიური საქართველოდან”.

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ “ქართ”-ს უწოდებდნენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას კორსიკელები (ნაპოლეონს კი ქართველს). კუნძულზე მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვთ ქართული ადათ-წესები, ხეჩვეულებები, კეთილშობილური ქცევა, სილაზაზე, მრავალხმიანი მუსიკა, მეგრული ცეკვები, მეგრული კულტურისა, მეგრული სამხარეულო. ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ კარგად იცოდა თავისი კოლხურ-ბასკური წარმომავლობა (ის თურმე ხშირად ამბობდა: ჩემს ძარღვებში კავკასიური სისხლი ჩქეფს), თორემ თავის დაცვის უფროსად არ დანიშნავდა ტყვედ წაყვანილს (მეველს) ქართველ ოფიცერს, ყოფილ მამლუქს როსტომ (რუსტან) რაზმაძეს, რომლის სავარეო საქმეთა მინისტრად დანიშნესაც კი აპირებდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ ნაპოლეონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დადიანების ოჯახთან, რომელთა საგვარეულო მუზეუმში ინახება ნაპოლეონის მიერ ნაჩუქარი ჭადრაკი. როცა ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე მოწამლეს, მას აღუდეს სახის ორი ნიღაბი, რომელთაგან ერთი ინახება პარიზში, მეორე კი ქალაქ ზუგდიდში.

2009 წლის აგვისტოში გაზეთმა “კვირის პალიტრამ” გამოაქვეყნა მასალები “მეგრული ჯარისკაცები ნაპოლეონის არმიასში” და ფოტოსურათი შეიარაღებული ყაბაღახიანი ჯარისკაცებისა. გაირკვა, რომ რუსეთის იმპერიაში ეს ფოტოსურათი ღია საფოსტო ბარათად გამოიცა წარწერით “მეგრელები ბოროდინოს ომში”. ამის შესახებ გაზეთი “ილორი” ღამაზად წერს: “როგორც ჩანს, მაშინ რუსეთშიც სხვა კატეგორიებით აზროვნებდნენ და ერთმანეთში არ ურევდნენ ორ მცნებას “მტრები” და “მოწინააღმდეგეები”. ამიტომაც მიაგეს რუსებმა სათანადო პატივი ბოროდინოს ბრძოლებში ორივე მხარეს მემორ ქართველთა სიმამაცესა და გაჟიკვობას. მართლაც სხვა დრო იყო, სხვა სილაზაზე...”

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კლიმენტი შელიას წიგნში “კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება” განხილულია სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომელთა შესახებ აქ მეტს არ ვლაპარაკობთ.

კლიმენტის შელიას ამ პატარა წიგნს ყველა ქართველი უნდა გაეცნოს და უცხო ენებზეც უნდა ითარგმნოს.

ცა – ქუდად, დედამიწა – ქალამნად

პრეზიდენტს კაცი გაუბრანიაო...

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი რომ იმალება, საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. განსაკუთრებით თუ რაიმე მალაჩინოსნებს და მათი ოჯახის წევრებს ეხებათ. ტაბუდადებულ თემაა პრეზიდენტი. თუ დროების ან ვოიაჟის დროს რაიმე უხამსობა ჩაიდინა, რაიონის გამგებლები, პოლიციელები ადგილობრივ მცხოვრებთ მკაცრად აფრთხილებდნენ, მომხდარის შესახებ არსად ილაპარაკონ, თორემ... დაშინების ეს მეთოდი ჯერჯერობით ჭრის. ხალხს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.

როგორც ირკვევა, კახეთში მორიგი ვიზიტით მყოფი პრეზიდენტის ესკორტი დიდი სინქარით მოძრაობდა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუქლაქში, ერთ-ერთი მანქანა, გზის სავალი ნაწილის წინ მდგომ 10 წლის ბიჭს დაეჯახა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბავშვი არსში გადავარდა.

ესკორტს სვლაც კი არ შეუნელებია. უგონო მდგომარეობაში მყოფი ბიჭი არსში მიატოვს. მხოლოდ შემთხვევით გამეღვლემა უშველა მოზარდს. იგი გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მაგრამ მდგომარეობა დაძვირდა და საჭირო გახდა ტრავმირებულიის თბილისში გადმოყვანა. ბავშვი გადაარჩა.

კომუნისტების ეპოქაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილინს სიბერეში ერთი ცუდი თვისება დასწამდა: ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გადააკვინებდა მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებს და მანქანით დაქროდა. ბუდად, მოსკოვში განიერი ქუჩებია და თარეშს რაიმე ექსცესები არ მოჰყოლია.

ჩვენი დღევანდელი პირველი პირი შეზარხოშდება თუ არა, საჭისკენ მიიწევს. არაპროფესიონალი მძღოლი ხან ხეებს, ბოძებს ეჯახება, ხან ძროხებსა და სხვა რქოსან პირუტყვს.

მაგრამ... ცოტა ხნის წინათ ტრავმირებულია დატრიალდა: აჭარაში საკმაოზე მეტად შეზარხოშებულმა პრეზიდენტმა საჭე ედარ დაიმორჩილა და ქობულეთ-ბათუმის მონაკვეთზე 24 წლის მამაკაცს დაეჯახა. იგი ადგილზე გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში “ოპერატიულად” იმუშავეს ადგილობრივი პოლიციელებმა. მათ შემთხვევის ადგილთან ახლო მცხოვრებნი გააფრთხილეს, რომ არავისთან არაფერი არ თქვან. გააჩუქეს დაზარალებულთა ოჯახის წევრებიც. რა თქმა უნდა, დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო.

ასე ეწირება სააკაშვილის დრეობებს ახალგაზრდების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. პრეზიდენტის ხუშტურების დასაკმაყოფილებლად ბოუჯერტში ჩვენს მიერ შეტანილი მილიონობით ლარი იხარჯება.

ბ. ზაზაძე

გაზეთი "ილორი" უკვე რეგულარულად გამოდის "საქართველოს საფეხბურთო კლუბები" გაზეთი "ილორი" უკვე რეგულარულად გამოდის "საქართველოს საფეხბურთო კლუბები"

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები "აუსტრია", ვენა, ავსტრია,

დაარსებულია 1911 წელს, სტადიონი: შორი (10.500 მაყურებელი), პრატერი (62.500 მაყურებელი), ავსტრიის 21-გზის ჩემპიონი, ოცდაორჯერ დაუფლა ქვეყნის თასს.

"აუსტრია-მემფისის" საფეხბურთო კლუბის ისტორია, როდესაც გასაკვირი და დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ...ცნობილი ინგლისური გასართობი – კრიკეტით იწყება. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსათვის, როცა ინგლისელები მასიურად ახდენდნენ იმ დროისათვის უახლეს და უძლიერეს სამრეწველო-ინდუსტრიულ ტექნოლოგიების იმპორტირებას, ისინი იძულებული იყვნენ, რომ ამ ტექნოლოგიების დასანერგად და მათი მომსახურე ადგილობრივი კადრების პროფესიონალებად ჩამოსაყალიბებლად, ადგილებზე გაეგზავნათ თანამემამულე სპეციალისტების დიდი რაოდენობა. სამუშაოდან თავისუფალ დროს კი, ინგლისელები, სხვადასხვა თამაშებით ერთობოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ მასპინძელ ქვეყნებში დაენერგათ მათთვის საყვარელი ტრადიციული ინგლისური თამაშობები. ამ გართობებში კი, უკვე დიდი ხანია, ძირითადი ადგილი ეკავა ტრადიციულ ქვეყნულ ინგლისურ კრიკეტს. "ვენის კრიკეტისა და ფეხბურთის კლუბი" ავსტრიაში 1890 წელს დააფუძნეს სწორედ ინგლისიდან ემიგრირებულთა სათვისტომოს წარმომადგენლებმა. მართალია კრიკეტმა დიდად ვერ მოიკიდა ფეხი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მაგრამ, რაც შეეხება ფეხბურთს, ამ

საინტერესო, შესანიშნავი თამაშით წამსვე მოიხილნენ ყველანი და, მათ შორის ავსტრიელებიც. პირველი ოფიციალური საფეხბურთო მატჩი, ავსტრიაში, სახეიშო ვითარებაში გაიმართა 1894 წლის 15 ნოემბერს. "ვენის კრიკეტისა და ფეხბურთის კლუბმა" უაღრესად მძიმე და დაძაბულ მატჩში ანგარიშით 4:0 დაამარცხა "ვენის პირველი საფეხბურთო კლუბი". ამის შემდეგ ეს ბრწყინვალე საფეხბურთო გუნდი დღემდე ავროპებს სპორტულ გამარჯვებებს, უმაღლეს საფეხბურთო ტიტულებსა და ტროფებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. 1925 წელს, უკვე დიდი სპორტული გამოცდილების მქონე ავსტრიულ გუნდს სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა "საფეხბურთო კლუბი აუსტრია". ამ დროისათვის იგი უკვე ავსტრიისა და საერთაშორისო არაერთი უმაღლესი საფეხბურთო პრიზისა და საპატიო ჯილდოს მფლობელი გახლდათ. 1978 წელს ვენის "აუსტრია" ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა. ამ დროს გუნდის ლიდერი და გამარჯვებულის ტალკეხი გახლდათ შესანიშნავი ნახევარმცველი, ფეხბურთის აღიარებული დიდი სტარტი პერბერტ პროხაზკა. ვენის "აუსტრია" იყო პირველი ავსტრიული საფეხბურთო გუნდი, რომელმაც ასეთ დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო სპორტულ არენაზე, თუმცა უკვე გუნდს ამგვარ ტურნირებში მონაწილეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნდა. აუცილებელია გავისხენოთ 1920-იანი

წლები, როცა ვენის "აუსტრია" ევროპის საფეხბურთო სამყაროს პიონერად იყო აღიარებული და ავსტრია, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იუგოსლავიის, შვეიცარიისა და იტალიის საუკეთესო საფეხბურთო კლუბებთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა მიტროპის თასის მოსაპოვებლად. "აუსტრიაში" ორჯერ მოიგო ეს უაღრესად ავტორიტეტული ასპარეზობა – 1933 და 1936 წლებში. მაშინ გუნდის ლიდერი და მისი ყველა შეტევის ორგანიზატორი გახლდათ ლუკენდარული ავსტრიელი ცენტრფორვარდი, დიდი საფეხბურთო გამოცდილებისა და განუმეორებელი ტექნიკის მქონე ფეხბურთელი მატეას სინდლერი. თამაშის იუველიური სტილი, რომელიც მსოფლიო საფეხბურთო სამყარომ მოგვიანებით "ვენის საფეხბურთო სკოლად" მონათლა, ავსტრიელებმა გადმოიღეს შოტლანდიელებისაგან და იგი გამოიხატებოდა მოწინააღმდეგე ჯარზე მასიურ შეტევათა მოკლე პასებით განხორციელებაში. ყველაფერი ეს კი ცნობილი ინგლისელი მწვრთნელის ჯიმი ჰოგანის დამსახურებად ითვლება. სწორედ მისი, როგორც გენიალური მწვრთნელის დიდი შრომის შედეგი გახლდათ ის, რომ ლუკენდარული საფეხბურთო ავსტრიული ნაკრები "გუნდურტში" მოწინააღმდეგეთაგან ფრიად მრისხანე და ანგარიშგასაწვევ ძალად იქცა და რომელმაც, 1932 წელს, მსოფლიო საუბედურო შემთხვევითობის გამო წააგო "სტარფორდ ბრიჯის" სტადიონზე ინგლისის საფეხბურთო ნაკრებთან მატჩი ანგარიშით 4:3. 1934 წელს კი ავსტრიელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. ამ წარმატების სულისჩამდგმელები სწორედ ვენის "აუსტრიის" ფეხბურთელები იყვნენ,

რაც მომდევნო პერიოდში ლამის ურყევ ტრადიციად იქცა. მაგალითად, 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრიის საფეხბურთო ნაკრები წარმოდგენილი იყო ვენის "აუსტრიის" 6 ფეხბურთელით. მსოფლიო ფეხბურთი დიდადაა დავალებული ავსტრიელებისაგან და კვლავაც მოელის, რომ ეს ქვეყანა აუცილებლად იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას.

გიორგი ჯალაღანია



იუმორი

შეგარცხენიე ის თავკომბადა, რომელიც არ ოცნებობს, გახდეს ანაკონდა...

ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობა ნამდვილად დამკვიდრდა... გაიხსენეთ თუნდაც ფეხბურთი – ჩვენები კვლავ სტაბილურად აგებენ!

მაღაზიაში მყიდველი ამბობს: – მაპატიეთ, თქვენ მე ხურდა არ დამიბრუნეთ... გამყიდველი პასუხობს: მიპატიებია!

უკრაინელი გენეტიკოსები მუშაობენ, ღორი შეაჯვარონ ხელიეს, რათა გამოიყვანონ ჰიბრიდი, რომელსაც, ისევე მოშორდება და ხელახლა აღუდგება "სადა", როგორც ხელიეს – კული.

ავიაციის დღეა. სიძე სიდედრს კეთიხება: – რატომ არ აღნიშნავ შენს სახეიშო დღეს? – საიდან არის ჩემი სახეიშო დღე? – აბა, ყველაზე პირველმა ვინ დაიპყრო საპატრო სივრცე ცოცხით?

სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწვევების ბეჭდვას „ფრემ ვერდის“ წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ:

- ხახვის ნახვა ანუ ჭამა – სიმწარის ნიშანია;
- ხორცის ნახვა ანუ ჭამა – ცუდი განსაცდელის ნიშანია;
- ხალხის ყრილობა ნახო – ავი საქმე დაგეგმართოს;
- ხარბობა სიზმრად – მეტად ცუდი საქმეა;
- ხორბლის დათესვა – საკეთილოა და კარგი;
- ხელები შეგეღებოს – რაიმეს შეიმატებ და გამდიდრდები;
- ჯვარი გამოართვა ვინმეს – ავი საქმე შეგემთხვას;
- ჯვარი ოქროსი გეკიდოს – სიმდიდრეს მიიღებ;
- ჯვარი ოქროსი იპოვო – საწადელი შეგისრულდეს;
- ჯვარის დაწერა ვინმესთან – კეთილია;
- ჯაჭვი ყელზე ჩამოიკიდო – კადნიერებაა;
- ჰაერში ფრენდე – ბედნიერებას მიაღწიო.

საქართველოში უპირველესი გამოცემა www.geworld.net

საქართველო

გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... ილიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!

ეს გაზეთი მსოფლიო სერიოზულ მკითხველზე გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!

შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"!

კლიმენტი შელია
КЛИМЕНТИ ШЕЛИЯ
ИСТОРИЯ ЧЕЛОВЧЕСТВА НАЧИНАЕТСЯ С КОЛХЕТИ

Kliment Shelia
THE HISTORY OF MANKIND BEGINS FROM KOLKHETI

Kliment Shelia
DIE GESCHICHTE DER MENSCHHEIT BEGINNT VON KOLCHIS

წიგნის მაღაზიებში იყიდება პროფესორ კლიმენტი შელიას მეტად საინტერესო წიგნი **კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭა**. ახლახან კი წიგნის მაღაზიის დახლებზე გამოჩნდა კლიმენტი შელიას ახალი, არანაკლებ საინტერესო წიგნი **კასობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება**, რომელშიც აღწერილია პრეისტორიული ხანის კოლხეთის მრავალმხრივი ფენომენი. დაინტერესებულმა პირებმა სასწრაფოდ მიმართონ წიგნის მაღაზიებს, რადგან აღნიშნული ნაწარმოებები ბესტსელერია და მალე გაქრება წიგნების ბაზრიდან.

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უცისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართი: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ. №01018002930	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: ლავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მისაილ გოდრიშვილი გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია	www ilori.ge e-mail: elisabetthal@yahoo.de ჩაქალაჩი განთავსება 899-57-33-22 893-51-01-71 899-34-37-27
--	---	--	--